პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 83 (10780) | კვირა, 7 აპრილი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ავამაღლოთ საბჭოთა ადამიანების საყოფაცხოვრებო მომსახურების კულტურა

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის კანონია ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება მშრომელთა მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ასამაღლებლად. პარტიის XX ყრილობის დირექტივების საფუძველზე უკვე შარშან — მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ასამაღლებლად. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდება წელს და ხუთწლედის მომდევნო წლებში.

სპეციალურ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ფართო წრე, სხვადასხვა პროფესიის მუშაკთა დიდი რაზმი ემსახურება საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებას. მაღაზიები, სასადილოები, ტრანსპორტი, ფოსტა, ტელეგრაფი, სამკერვალო და შემკეთებელი სახელოსნოები, აბანოები, საპარიკმახეროები და სხვა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოები და დაწესებულებები დიდ როლს ასრულებენ მშრომელთა ცხოვრებაში. იქ საბჭოთა ადამიანი უნდა შეხვდეს გულისხმიერ დამოკიდებულებას, მან უნდა იგრძნოს პატივისცემა, ყურადღება, ნამდვილი ზრუნვა მისი მოთხოვნილებისა და საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. ბევრ შემთხვევაში ეს ასეც არის. მშრომელთა მომსახურებისადმი ყურადღების გამოჩენის, გულისხმიერი დამოკიდებულების კარგ მაგალითად ჩაითვლება ზოგიერთ მაღაზიაში მოწყობილი საქონლის გაყიდვა შინ მიტანით, რკინიგზის ბილეთებზე წინასწარი შეკვეთის მიღება, დეპეშების გაგზავნა ტელეფონით და სხვ. ასეთი მომსახურება საბჭოთა ადამიანს უადვილებს ცხოვრებას, მას ნაკლები დრო ეხარჯება თავის საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე, მისი ცხოვრება უფრო შინაარსიანი და ლამაზი ხდება.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის მომსახურების დარგში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია. იშვიათი როდია უხეშობის, უყურადღებობის, ადამიანისადმი უპატივცემლობის ფაქტები. სავაჭრო ქსელის ბევრ მაღაზიაში არ იგრძნობა ნამდვილი ზრუნვა მშრომელების შეუფერხებელი, კულტურული მომსახურებისათვის. საქონლის შესაძენად მოსული მომხმარებელი ხშირად იძულებულია დიდხანს იდგეს სალაროსთან და დახლთან, ამასთან ზოგიერთი გამყიდველი მას უპატივცემლოდ, უკმეხად ეპყრობა, თავს არ იწუხებს ნაყიდი საქონელი კოხტად შეუხვიოს. მელიქიშვილის ქუჩაზე ქიმიური საქონლის მაღაზიაში საღებავებით სავსე ქილებს მომხმარებლებს გაუხვევლად აძლევენ. „გასტრონომის“ ბევრ მაღაზიაში კონსერვის ქილებისა და ღვინის ბოთლების ქაღალდში გახვევას საჭიროდ არა თვლიან, თევზეულობას გაუხვევლად ყიდიან. თბილპურვაჭრობის № 67 საფუნთუშო-საკონდიტრო მაღაზიაში არა აქვთ ქაღალდი, რომ მომხმარებელს ორცხობილა შეხვეული გაატანონ.

დედაქალაქის მაღაზიებში რამდენიმე თვეა არ იშოვნება თითქოს უბრალო, მაგრამ ოჯახისათვის აუცილებელი ნივთი — ხორცსაკეპი მანქანა. მომწოდებელმა ორგანიზაციებმა ჩაშალეს მომარაგების გეგმა, 6 ათასის ნაცვლად მხოლოდ 491 ხორცსაკეპი მანქანა მოგვაწოდესო, აცხადებენ თბილვაჭრობის ხელმძღვანელები. თბილვაჭრობის მუშაკებს მეტი დაინტერესება და დაჟინება რომ გამოეჩინათ, ისინი შეძლებდნენ თბილისის სავაჭრო ქსელში იმდენი ხორცსაკეპი მანქანა და სხვა საქონელი შემოეზიდათ, რამდენიც საჭიროა მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მშრომელთა კანონიერ საყვედურს იწვევს ზოგიერთი სასადილოს, ბუფეტის, სასაუზმეს საქმიანობა. მათგან ყველაზე კეთილმოწყობილშიც კი, მაგალითად, ისეთებში, როგორიც არის რესტორნები „თბილისი“, „ინტურისტი“, ყოველთვის ვერ შეხვდებით მომხმარებლებისადმი თავაზიან, გულისხმიერ დამოკიდებულებას. ბევრ სასადილოსა და სასაუზმეში მაგიდებზე გადაფარებულია ჭუჭყიანი სუფრები, ზედ არ აწყვია მდოგვი, პილპილი, ძმარი, მარილი, მომხმარებელს დიდხანს უხდება ცდა კერძის მოლოდინში და ა. შ.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები და ადგილობრივი საბჭოები ნაკლებად ზრუნავენ მაღაზიების, სასადილოების, სასაუზმეების მუშაობის კულტურის ამაღლებისათვის, ხოლო საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაკები ზოგჯერ ივიწყებენ, რომ მათი ამოცანაა ყველაფერი გააკეთონ მოსახლეობის მომსახურების უკეთ მოწყობისათვის.

მოსახლეობის მომსახურებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები ხშირია ქალაქის ტრანსპორტის მუშაობაში. სხვათა შორის, № 14 და № 2 მარშრუტების ავტობუსებზე ეს იმაშიც ვლინდება, რომ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა მოძრაობის გრაფიკის დარღვევის შემთხვევები.

მაღაზიებში, სასადილოებში, საქალაქო ტრანსპორტზე, ატელიეებში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოებსა და დაწესებულებების მუშაკებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ მომხმარებლის სურვილისა და საჭიროებისადმი გულგრილი დამოკიდებულება შეუთავსებელია მოსახლეობის მომსახურების მაღალ კულტურასთან.

სავაჭრო ორგანიზაციების, ქალაქის ტრანსპორტის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაკების აუცილებელ თვისებას უნდა წარმოადგენდეს მომხმარებლისადმი ღრმა პატივისცემა, საბჭოთა ადამიანისადმი თავაზიანი, გულისხმიერი დამოკიდებულება. ეს თვისება მათში ყოველდღე, მტკიცედ და თანმიმდევრულად უნდა აღვზრდოთ. აუცილებელია მუდმივად ვზრუნავდეთ საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაკების მაღალი დისციპლინიანობისათვის, შეუნელებლად ვებრძოლოთ მოსახლეობის მომსახურებაში გულგრილობის, უყურადღებობის, უკულტურობის, უხეშობის ყოველგვარ გამოვლინებას.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლაში ჩააბან ჩვენი საზოგადოებრიობა, მშრომელთა ფართო აქტივი — მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, დიასახლისები და პენსიონერები. ამ მიმართულებით დიდი მუშაობის გაწევა ევალებათ ადგილობრივი საბჭოების ვაჭრობის მუდმივ კომისიებს.

საბჭოთა ადამიანების შრომის ინტენსივობა, ხალისიანი განწყობილება, კულტურული დასვენება ბევრად დამოკიდებულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობაზე. აქედან გამომდინარეობს სწორედ ის, რომ საჭიროა მკვეთრად გავაუმჯობესოთ ამ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობის სტილი, უკეთესად მოვაწყოთ მოსახლეობის მომსახურება, ავამაღლოთ საბჭოთა ადამიანების მომსახურების კულტურა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა კომპოზიტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები მხურვალე სალამს უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენ, ყრილობის მონაწილენი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მრავალეროვნული მუსიკალური კულტურის ყველა მოღვაწის სახელით გულითად მადლობას ვუძღვნით შშობლიურ პარტიას მისი მუდმივი ზრუნვისათვის ჩვენი მუსიკის განუხრელ განვითარებაზე და საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებითი შრომის იმ მაღალი შეფასებისათვის, რომელიც მოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში.

ლენინის დიადი პარტიის მისალმება გვინერგავს უდიდესი სიამაყის გრძნობას, შთაგვაგონებს ახალი შემოქმედებითი საქმეებისათვის სამშობლოს და ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩვენს მეორე ყრილობაზე, რომელმაც ერთიან ძმურ ოჯახად გააერთიანა რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის, ამიერკავკასიისა და საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, შუა აზიისა და ყაზახეთის, ბელორუსიისა და მოლდავეთის მუსიკალური მოღვაწეები, ვცდილობდით ანალიზი გაგვეკეთებინა ჩვენ მიერ განვლილი გზისათვის, ღირსეულად შეგვეფასებინა საბჭოთა მუსიკის მიღწევები, გამოგვეაშკარავებინა მისი ნაკლოვანებანი და დაგვესახა საბჭოთა მუსიკის შემდგომი განვითარების გზები.

საბჭოთა მუსიკალური კულტურა, რომელსაც პარტია წარმართავს ცხოვრების სიმართლის, ხალხისადმი თავდადებული სამსახურის გზით, განუხრელად ვითარდებოდა მთელ სოციალისტურ წყობილებასთან ერთად, მისი მიზნები ყოველთვის განუყოფელი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიზნებისაგან. ადამიანისადმი, ნათელი კომუნისტური იდეალებისადმი ურყევი რწმენით არის გამსჭვალული ჩვენი მუსიკის ნაწარმოებები მისი წარმოშობის პირველი წლებიდანვე. კომპოზიტორები ცდილობდნენ და ცდილობენ ოპერებსა და სიმფონიებში, ორატორიებსა და ბალეტებში, რომანსებსა და სიმღერებში გამოხატონ სინამდვილის დიდი სიმართლე, ადიდონ გმირი, დაუცხრომელი მშრომელი, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის დიდებული სახე.

ჩვენი მუსიკალური ხელოვნება მტკიცდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა სხვადასხვა ესთეტურ-ფორმალისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, კაპიტალისტური სამყაროს რეაქციული კლასების დეგრადაციის გზაზე მდგომი ხელოვნების უცხო გავლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში საბოლოოდ დამკვიდრდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, რომელიც კომპოზიტორების ყურადღებას აპყრობს ცხოვრების პროცესების ღრმა შესწავლასა და ასახვას და უსაზღვრო შესაძლებლობას აძლევს მათ, რათა გამოიჩინონ გაბედული შემოქმედებითი ინიციატივა, ყოველმხრივ განავითარონ მხატვრული ინდივიდუალობა.

უდავოა მსოფლიო მნიშვნელობა საბჭოთა მუსიკალური კულტურისა, რომელსაც მთელი მსოფლიოს ადამიანებისათვის მოაქვს ჰუმანიზმისა და მაღალი ადამიანურობის იდეები, რომელიც რეალიზმისა და დემოკრატიულობის ბურჯია მთელ თანამედროვე მუსიკალურ ხელოვნებაში.

მაგრამ, გვახარებს რა ჩვენი მიღწევები, არ შეგვიძლია სერიოზულ შეშფოთებას არ განვიცდიდეთ მრავალი ნაკლის გამო, რომლებიც აფერხებენ მუსიკალური შემოქმედების ზრდას. საბჭოთა მუსიკის პრაქტიკა ადასტურებს პარტიის XX ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების სიტყვებს, რომ ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩება ცხოვრებას, საბჭოთა სინამდვილეს, რომელიც განუზომლად უფრო მდიდარია, ვიდრე მათი ასახვა ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

საბჭოთა კომპოზიტორებმა იმაზე ნაკლები გააკეთეს ხალხისათვის, რაც მათ შეუძლიათ გააკეთონ და უნდა გააკეთონ.

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი ყრილობისადმი მისალმებაში სამართლიანად აღნიშნა, რომ თანამედროვე თემა ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ განსახიერებული კომპოზიტორთა შემოქმედებაში. საბჭოთა ადამიანები მუსიკის მოღვაწეთაგან ელიან სულ სხვადასხვა ჟანრის, ახალ იდეურად ღრმა და ოსტატობით სრულყოფილ ნაწარმოებებს, ოპტიმიზმითა და მაღალი ადამიანურობით, შემოქმედების პათოსით და კოლექტივიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულ ნაწარმოებებს, რომლებიც უნდა აღუგზნებდნენ გულს ჩვენს თანამედროვეებს, აღაფრთოვანებდნენ მათ შრომისათვის კომუნიზმის გასამაჯვებლად.

კომპოზიტორთა მეორე ყრილობა არწმუნებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა მუსიკის მოღვაწეებს შეგნებული აქვთ მთელი დიდი პასუხისმგებლობა სოციალისტური მუსიკალური კულტურის შემდგომი კიდევ უფრო მძლავრი ზრდისათვის და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეულად შეასრულონ თავიანთი ხალხის მოთხოვნები.

ჩვენ უდიდესი მადლობით შევხვდით პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, რომ შეიქმნას გამომცემლობა „საბჭოთა კომპოზიტორი“, რომ გამოვიდეს ახალი მასობრივი მუსიკალური ჟურნალი და დაარსდეს საგუნდო საზოგადოება, რომელიც თავის რიგებში გააერთიანებს მუსიკის ასეულ ათასობით მოყვარულს და ხელს შეუწყობს მუსიკალური კულტურის ამაღლებას ჩვენს ქვეყანაში. ეს და სხვა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ არის მიღებული, ფასდაუდებელ დახმარებას გაგვიწევენ ჩვენს შემდგომ მუშაობაში, ხელს შეუწყობენ პროფესიული და სახალხო-მასობრივი მუსიკალური ხელოვნების კიდევ უფრო დაახლოებას.

საბჭოთა კომპოზიტორების მეორე ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ნიშანსვეტი იყო ჩვენი მუსიკის განვითარებაში. კომპოზიტორებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მუდმივი ბრძოლა აწარმოონ სოციალისტური რეალიზმისაგან ყველა გადახვევის, ფორმალიზმისა და ინდივიდუალიზმის გავლენის, ისევე როგორც ხელოვნებაში პრიმიტივიზმის წინააღმდეგ. კომპოზიტორებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ძირეულად გააუმჯობესონ თავიანთი შემოქმედებითი კავშირის საქმიანობა, ყოველი ღონისძიებით მოახდინონ მისი მუშაობის ფორმების დემოკრატიზაცია, განავითარონ ჯანსაღი და ნაყოფიერი შემოქმედებითი დისკუსია, იბრძოლონ ოსტატობისადმი მაღალი მომთხოვნელობისათვის.

დაე თავდადებულ შემოქმედებითს მუშაობაში, ყველა ჩვენი რესპუბლიკის კომპოზიტორთა ძმურ ერთიანობაში, მეგობრულ, მხატვრულ შეჯიბრებაში განვითარდეს და აყვავდეს საბჭოთა მუსიკალური კულტურა, რომელიც შთაგონებულია სოციალისტური სინამდვილის მოწინავე იდეებით და რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია.

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

დიდება მის ცენტრალურ კომიტეტს!

საბჭოთა კომპოზიტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ქალაქ გორკში

გორკი, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს გორკში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი. იგი იყო ბოგოროდსკის რაიონის კოლმეურნეობა „ისკრაში“.

ნაშუადღევს ამხ. ხრუშჩოვი ეწვია ედანოვის სახელობის ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“. სორმოველები გულთბილად და გულითადად შეხვდნენ მას. ქარხნის ეზოს ვრცელ მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელსაც 20 ათასი კაცი დაესწრო.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ.

მიტინგის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ნ. გ. იგნატოვის და ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ დირექტორის ა. ი. ლიაპინის თანხლებით დაათვალიერა სორმოვოს ქარხნის ნავმისადგომი, დაესწრო „დიდი ვოლგის“ ტიპის მშრალი ტვირთის მორიგი თბომავლის ჩაშვებას წყალში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

გეგმის გადამეტებით...

სასახელო შრომითი მიღწევებით აღნიშნავს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ყოველ დღეს თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი. განსაკუთრებით დაწინაურდნენ პირველი საამქროს მკერავები, რომლებმაც 20 მარტისათვის 110 პროცენტით გაანაღდეს პროდუქციის გამოშვების თვიური დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 1.350 ცალი მამაკაცის აბრეშუმის ზედა პერანგი, გარდა ამისა გადაჭარბებით შეასრულეს ბამბის ქსოვილისაგან საბავშვო კოსტიუმების გამოშვების დავალება.

სურათზე: მკერავი ე. გელაშვილი მუშაობს მოწინავე მეთოდებს ასწავლის ახალგაზრდა მუშას საშუალოსკოლადამთავრებულ ლ. სოლოლაშვილს.

ფოტო შ. გოქაძისა.

მაღაროელებმა პირველი კვარტალის გეგმა შეასრულეს

ჭიათურა. (საკ. კორ.). საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა წინათ ჩამორჩენილი — ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კოლექტივი. მან მარგანეცის გამოღების პირველი კვარტალის დავალება 107 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო მარგანეცის დამზადებისა—101,5 პროცენტით, ხოლო პირველი ხარისხის მადნის გამოშვებისა — 109,5 პროცენტით. მაღალნაყოფიერად იმუშავეს ამ უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც დ. შეყილაძე, დ. ხვედელიძე, გ. ცერცვაძე და ს. შარიქაძე ხელმძღვანელობენ. მაღაროს მოწინავე ადამიანები გ. ჩაფიძე, მ. ცერცვაძე, ა. ცერცვაძე, ლ. ბედინაშვილი, შ. შერგილაშვილი, რ. მოდებაძე საპირველმაისო ვახტზე დგანან და დავალებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.

პირველი კვარტალის დავალებები საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ორჯონიკიძისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა.

რუსთავის მრეწველობის მუშაკთა ნარმატება

რუსთავი. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა რუსთავის საწარმოთა უმეტესობამ კარგი მაჩვენებლებით შეასრულა. მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა თავისი მუშაობის პრაქტიკაში პირველად, სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულა მთელი კვარტალის საწარმოო დავალება. სამ თვეში კოქსის გამოშვების დავალება განაღდებულია 100,9 პროცენტით, თუჯისა — 100,1 პროცენტით, ფოლადისა — 102,4 პროცენტით, წვრილსორტული ნაგლინისა — 104,7 პროცენტით, ფურცლოვანი ფოლადისა — 106,9 პროცენტით, მილებისა — 101,6 პროცენტით, მზანაგლინისა — 105,3 პროცენტით.

პირველი კვარტალის დავალება ჯერ კიდევ 27 მარტისათვის გაანაღდა რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა და თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვა ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ცემენტი.

ამავე პერიოდისათვის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს აზოტოვანი სასუქების ქარხანაში.

დავაჩქაროთ მუშაობის ტემპი, მივბაძოთ მოწინავეებს

მუხრანის ველზე გაზაფხულის თბილი, მზიანი დღეებია. საკოლმეურნეო მინდვრებიდან და ბაღ-ვენახებიდან მოისმის კოლმეურნეთა ხალისიანი შრომის ყიჟინა, მანქანების გუგუნი...

...მთელ დღეს არ ნელდება შრომა სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე. კოლმეურნეები ნაკვეთებში ეზიდებიან მინერალურ და ორგანულ სასუქებს, აწარმოებენ შემოდგომის პურეულის დამატებით გამოკვებას. მცხეთის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა ხნავს, თესავს, ბაღ-ვენახებში ატარებს საგაზაფხულო სამუშაოებს. კოლმეურნეობაში კარგახანია მორჩნენ ქერის, სუფრის ჭარხლის თესვას. ახლა საკვებ ჭარხლს თესავენ. შემოდგომის პურის ჯეჯილის დამატებით გამოკვება ჩატარებულია 300 ჰექტარზე, მინდვრად გატანილია 265 ტონა ნაკელი. მინდვრის სამუშაოებში დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატი ხ. ცოციაშვილი ხელმძღვანელობს.

წილკნელი კოლმეურნეები რაიონში ერთ-ერთი პირველნი ჩაებნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება აიღეს 400 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 16 ცენტნერი სიმინდოგომო ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 ცენტნერისა, 170 ჰექტარიდან თვითეულზე 55 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 30 ცენტნერისა და გეგმასთან შედარებით ორჯერ გაადიდონ ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები გაჩაღებულია აგრეთვე სოფელ ნატახტარის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ შემჭიდროებულ ვადებში დათესეს ქერი, ხახვი, სუფრის ჭარხალი, საკვები ჭარხალი. მთლიანად დაამუშავეს ბაღ-ვენახები. მალე დაიწყებენ სიმინდის თესვას. საამისოდ ამზადებენ ნიადაგს. კარგად არის მოწყობილი საგაზაფხულო სამუშაოები სოფლების ჩარდახის, საგურამოს კოლმეურნეობებში.

მაგრამ ამ სამუშაოთა ტემპი ყველგან ერთნაირი როდია. ზოგიერთი კოლმეურნეობისა და მცხეთის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის მუშაობაში ვხვდებით ნაკლოვანებებს. სოფელ ძეგვის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის ბაღ-ვენახებში თითი თითზე არ დაუკარებიათ, ისევ დასამუშავებელი აქვთ ბაღი, ვენახი. არ დაუწყიათ ხეხილის წამლობა, სასუქების შეტანა. ბაღ-ვენახების დამუშავება ნელა მიმდინარეობს სოფელ მუხრანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაშიც. 30 მარტისათვის აქ ხეხილი შეწამლული ჰქონდათ მხოლოდ 8 ჰექტარზე. დაბალია შრომის დისციპლინა. კოლმეურნეობაში ყოველდღიურად სამუშაოზე არ გამოდის 70-მდე შრომისუნარიანი კოლმეურნე.

არის ტექნიკის მოცდენის შემთხვევებიც. შემოწმებისას სოფელ ერედის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ვნახეთ ასეთი ფაქტი. მცხეთის მტს-ის მეთერთმეტე სატრაქტორო ბრიგადა ვენახებს ამუშავებდა. „ქდ-35“ მარკის ერთ ტრაქტორს საწვავი გამოელია, ადგილზე კი იგი არ იყო მიტანილი. ამავე კოლმეურნეობაში მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადაც მუშაობდა. სანამ ამ ბრიგადიდან ორ ვედრო საწვავს ისესხებდნენ, ტრაქტორი თითქმის ერთი საათით მოცდა. ნაწილის დაზიანების გამო ორ დღეს მოცდა „ს-80“ მარკის ერთი ტრაქტორი.

ჩამორჩენილები უნდა გაუთანასწორდნენ მოწინავეებს და მიიღონ ზომები საგაზაფხულო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“
საკ. კორესპონდენტი.

დაიხურა საბჭოთა კომპოზიტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

5 აპრილს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საბოლოო სხდომა საბჭოთა კომპოზიტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობისა, რომლის მუშაობა ცხრა დღეს გრძელდებოდა. ყრილობის დელეგატებმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ, გულდასმით განიხილეს მუსიკალური შემოქმედების ყველაზე საარსებო საკითხები, დასახეს საბჭოთა მუსიკალური კულტურის შემდგომი აღმავლობის გზები.

საღამოს 6 საათია. დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან პრეზიდიუმში შემოსულ ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინს, კ. ე. ვოროშილოვს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ი. კირიჩენკოს, გ. მ. მალენკოვს, ა. ი. მიკოიანს, ვ. მ. მოლოტოვს, მ. გ. პერვუხინს, მ. ზ. საბუროვს, მ. ა. სუსლოვს, გ. კ. ჟუკოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, დ. ტ. შეპილოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. მ. შვერნიკს, ა. ბ. არისტოვს, ნ. ი. ბელიაევს, პ. ნ. პოსპელოვს.

თავმჯდომარე ტ. ხრენიკოვი ხსნის საბჭოთა კომპოზიტორების მეორე ყრილობის საბოლოო სხდომას.

საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნების შედეგების გამოსაქვეყნებლად იგი სიტყვას აძლევს ლ. ენტელისს.

შემდეგ უცხოელ სტუმრებს მიმართა დ. კაბალევსკიმ.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

მოკლე საბოლოო სიტყვით ყრილობა დახურა ი. შაპორინმა. (საკდესი).



გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობამ უკვე შეარჩია და დააყალიბა სიმინდის ჰიბრიდული თესლი. აქ ყველაზე ადრე დაიწყეს სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა. სურათზე: (მარცხნიდან) კოლმეურნეობის წევრები ს. ბერიძიშვილი და ვ. ჭუმსიაშვილი სიმინდის თესლს ყრიან სათეს მანქანაში. კვანძის დამჭერი ნ. მოისაშვილი, მთესავი ლ. ბიაშვილი და ტრაქტორისტი ს. მუნჯიშვილი სიმინდს თესავენ კვადრატულ-ბუდობრივად.

ფოტო შ. ბეჟანიშვილისა.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა

★ ★

თბილისელი მანქანათმშენებლების მოსაზრებანი

თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის კლუბში შედგა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების, მოსამსახურეების საერთო კრება, მიძღვნილი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვისადმი. ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ქარხნის დირექტორმა დ. ჟორჟოლიანმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა ეკონომიური რაიონების მიხედვით, უწყებრივი კარჩაკეტილობის ლიკვიდაცია მკვეთრად გააუმჯობესებს სამრეწველო საწარმოების მართვას, საშუალებას მოგვცემს ავამოქმედოთ დამატებითი რეზერვები, მოვახდინოთ მატერიალური რესურსებით მანევრირება საჭიროების მიხედვით.

— სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მარტო ის სამმართველო, რომელსაც ჩვენი ქარხანა ემორჩილება, — ამბობს მომხსენებელი, — ხელმძღვანელობს 20-ზე მეტ მსხვილ მანქანათმშენებელ საწარმოს, რომლებიც გაფანტული არიან მთელ ჩვენს ქვეყანაში. რასაკვირველია, ასეთ პირობებში სამინისტროს არ შეუძლია კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიოს ყველა ქარხანას.

უწყებრივი ბარიერების არსებობა აიძულებს თვითეულ სამინისტროს თავისი ძალებით დაამზადოს ყველაფერი, რაც კი საჭიროა მის სისტემაში შემავალი ფაბრიკა-ქარხნებისათვის. ეს იწვევს უდიდეს გაუმართლებელ ხარჯებს, დროის დიდ დანაკარგებს, საწარმოო ფართობებისა და მოწყობილობების არასრული სიმძლავრით გამოყენებას, დიდ შემხვედრ ტვირთნიდვას.

— მხოლოდ საქმისადმი ვიწრო უწყებრივი მიდგომით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, — ამბობს მომხსენებელი, — რომ არა გვაქვს უფლება აქვე მეზობლად მდებარე კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნიდან წამოვიღოთ დეტალები, რომელთა უქონლობა ძლიერ გვაფერხებს, ხოლო ჩარხმშენებლებს ისინი ჯერჯერობით არ სჭირდებათ.

ავიღოთ მეორე ფაქტი. ჩვენი ქარხანა ლიფტებს გზავნის მოსკოვში, ხარკოვში და სხვა ქალაქებში. ხოლო მოსკოვისა და ხარკოვის მანქანათმშენებელი ქარხნები ლიფტებს უგზავნიან თბილისის მრავალ ორგანიზაციას. ხელმძღვანელობის ახლებურად გარდაქმნა შესაძლებლობას მოგვცემს აღმოვფხვრათ ასეთი ნაკლოვანებები, რაც სახელმწიფოს დაუზოგავს მილიონობით მანეთ თანხებს, გაათავისუფლებს ტრანსპორტს ზედმეტი ტვირთნიდვისაგან.

ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსმა ს. ბაბაიანმა ილაპარაკა იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც მართვის სტრუქტურის გარდაქმნასთან დაკავშირებით დგას მანქანათმშენებლების წინაშე. მან აღნიშნა, რომ მართვის ახალ ფორმებზე გადასვლა მხოლოდ მექანიკური პროცესი როდია. ქარხნის კოლექტივს დასჭირდება დღეიდანვე დაიწყოს მუშაობა, რათა მომზადებული შეხვდეს ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ საწარმო ამჟამად ახალი სახის პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლასთან დაკავშირებით სერიოზულ სიძნელეებს განიცდის. ჯერ კიდევ შემუშავებული არა აქვთ დაგეგმვისა და დანორმვის მოწინავე ფორმები, ნელი ტემპით მიმდინარეობს კადრების მომზადება ქარხნის ახალი პროფილის შესაბამისად. ქარხნის დირექციამ პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დროზე უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რამდენიმე თვეა გრძელდება, — თქვა ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსმა ი. ოსიპოვმა, — ახალი პროდუქციის ათვისებაზე გადასვლისათვის მზადება, მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს ზოგიერთი მანქანის ნახაზებიც კი. სამინისტროს მხრივ არადამაკმაყოფილებელი დახმარების შედეგად განვიცდით მატერიალურ-ტექნიკურ სიძნელეებს. ფოლადის სხმულს გვაწვდიან გროზნოდან, მაშინ როცა სავსებით შესაძლებელი იყო მიგვეღო ასეთი სხმული თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნიდან. ჯერჯერობით მივიღეთ ჩვენთვის საჭირო სხმულის მხოლოდ 30 პროცენტი. ასევე ცუდად გვეხმარებიან ჩვენთან კოოპერირებული სხვა ქარხნებიც, ხოლო სამინისტრო თითქმის არავითარ დახმარებას არ გვიწევს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ქარხნის მოწინავე მუშედელმა ი. სპიცინმა გააკრიტიკა ხელმძღვანელი ორგანოები იმისათვის, რომ მათი მიზეზით უკვე რამდენიმე წელიწადია ჭიანურდება სამუშედლო საამქროს მშენებლობა. მუშედლებს მუშაობა უხდებათ ღია ცის ქვეშ, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებასა და პროდუქციის ხარისხზე. ამხ. სპიცინმა მოითხოვა მოწყობილობის მონტაჟის დროს გათვალისწინებულ იქნას საამქროს კოლექტივის წინადადებები, ვინაიდან მიკი უქეთ იციან, რა არის საჭირო გამართული მუშაობისათვის. ორატორმა შემოიტანა წინადადება გაერთიანებულ იქნას სამუშედლო და დამამზადებელი საამქროები, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებს საამქროებისადმი ხელმძღვანელობას.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი, — ამბობს ამწყობ-მექანიკური საამქროს უფროსი ე. ბარკალაია, — უკანასკნელ თვეებში სისტემატურად ვერ ასრულებს გეგმებს, განიცდის ფინანსურ სიძნელეებს. ხშირად დიდი რაოდენობით გვიგროვდება მზა ლიფტები, მაგრამ მათ დანიშნულებისამებრ ვერ ვგზავნით, ვინაიდან ზოგიერთი ელექტრომოწყობილობის კომპლექტები არა გვაქვს. ხელმძღვანელობის ახლებურად მოწყობა შესაძლებლობას მოგვცემს აღმოვფხვრათ მუშაობის შემაფერხებელი მიზეზები.

კრებამ დაადგინა შეუდგნენ ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების მიერ შემოტანილ წინადადებათა შეგროვებას და განსახილველად გადასცენ ისინი ზემდგომ ორგანოებს.

ქუთაისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სამჭედლო საამქროს ცვლის უფროსი ზ. შავნგირაძე საამქროს მუშებს აცნობს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა

★

ჩარხმშენებლის შენიშვნები

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის მუშაკებში, კერძოდ მძიმე ინდუსტრიის ისეთი წამყვანი დარგის მუშაკებში, როგორიც არიან მანქანათმშენებლები და ჩარხმშენებლები. ასევე დიდი ინტერესი და საერთო მოწონება გამოიწვია ამ თეზისებმა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივში, რაც სავსებით კანონზომიერი, ბუნებრივი მოვლენაა, ვინაიდან მრეწველობის საწარმოთა მართვის ნაკლოვანებებს, უწყებრივი კარჩაკეტილობის სიმძიმეს იგი თავის ყოველდღიურ მუშაობაში განიცდის.

გასულ წელს სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრომ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივს დაავალა ერთ-ერთი უახლესი მოდელის მილდასამუშავებელი ჩარხის გამოშვება. ამ ჩარხის შპინდელის მარტო ერთი დეტალი 7,1 ტონას იწონის, ხოლო დეტალის გაბარიტი საგრძნობლად დიდია. ეტყობა, სამინისტროში არ იცოდნენ, რომ ამ ქარხანაში არ არის სათანადო მოწყობილობა ასეთი დიდგაბარიტიანი დეტალების დასამუშავებლად, თორემ არც ასეთ დავალებას მოგვცემდნენ. ცხადია, საკუთარი ძალებით ადგილობრივ ასეთი დიდი დეტალის დამუშავება ვერ შევძელით, იძულებული გავხდით იგი ლენინგრადის ლითონდასამუშავებელ ქარხანაში გაგვეგზავნა. ამ დეტალთან ერთად სხვა დიდგაბარიტიანი დეტალები 7 ვაგონით გავგზავნეთ ლენინგრადში, შემდეგ იგი უკანვე ჩამოვიტანეთ. გადაზიდვისა და გადმოზიდვის ხარჯებმა და გაწეული შრომის ანაზღაურებამ გაადიდა ჩარხის თვითღირებულება.

ბოლოს ყოველივე ეს შეიტყეს სამინისტროში და ვიფიქრეთ, რომ ჩვენს ქარხანას გეგმიდან მოუხსნიდნენ ასეთი მოდელის ჩარხების დამზადებას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. 1957 წლის გეგმითაც ასეთი დიდგაბარიტიანი ჩარხების გამოშვება დაკისრებული გვაქვს.

ჩარხმშენებლობის მრეწველობაში საწარმოთა დაგეგმვის საქმე მოუწესრიგებელია. უკვე დაიწყო 1957 წლის მეორე კვარტალი, ხოლო თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანას ჯერაც არა აქვს მიმდინარე წლის მტკიცე და ურყევი საწარმოო დავალება. მაგალითად, ჩვენი წლევანდელი გეგმით დათვალისწინებულია ისეთი ჩარხების გამოშვება, რომელთა მოდელები ჯერაც არ არის შემუშავებული. ასეთი მოდელების შემუშავებას საგრძნობი დრო სჭირდება და გაურკვეველია, როგორ მოხერხდება წლის ბოლომდე მათი სერიული გამოშვების დაწყება.

მრავალი სხვა მოუწესრიგებელი საქმეც არის, რაც დიდად გვაფერხებს მუშაობაში, ხელს გვიშლის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში. ჩვენს საწარმოსთან მოწყობილია სამჭედლო საამქრო, რომელსაც სრული დატვირთვით ვერ ვამუშავებთ. ბევრ სხვა საწარმოში ასე კარგად მოწყობილი სამჭედლო არა აქვთ და ხშირად მოგვდის შუამდგომლობა, რომ სხვა საწარმოებს დავეხმაროთ ნაჭედის დამზადებაში, მაგრამ იძულებული ვართ უარი ვუთხრათ, რადგან უწყებრივი ზღუდეები ამის უფლებას არ გვაძლევს.

კიდევ ერთი შენიშვნა: ჩვენს ქარხანას საგრძნობი რაოდენობით სჭირდება ნაგლინი, მაზუთი. ჩვენი ავტომატური დანადგარები დატვირთული არ არიან სამუშაოებით. ამავე დროს ნაგლინი მოგვდის ურალიდან, მაზუთი — კუიბიშევიდან, ხოლო ავტომატები ხშირად ცდება. რასაკვირველია, უმჯობესი იქნება, რომ ნაგლინს გვიგზავნიდნენ რუსთავიდან და მაზუთს — ბაქოდან. ავტომატების დატვირთვა კი სავსებით შესაძლებელია თბილისის სხვადასხვა საწარმოებისათვის საჭირო ე. წ. ნორმალური დეტალების დამუშავებით.

ყოველივე ამას მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების შემდეგ ბოლო უნდა მოეღოს.

დ. გრეიინი,

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ინჟინერი.

★ ★ ★

გზა ახალს, პროგრესულს

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროებში, ბრიგადებსა და ცვლებში მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები ღრმა ინტერესით სწავლობენ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტს — ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოსათვის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, პარტია მუდამ მიმართავს ხალხს. ასე მოხდა ამჯერადაც.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა ჩვენი რესპუბლიკის უხუცესი, სახელოვანი ტრადიციების მქონე ქარხანაა. პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლაში ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, გადაჭარბებით ასრულებს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულ იქნა 109,1 პროცენტით, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მივეცით სამი ორთქლმავალი და რვა სამგზავრო ვაგონი.

ცხადია, წარმატებანი უფრო მეტი იქნებოდა, ქარხნის მუშაობას ხელს რომ არ უშლიდეს წარმოების შემდგომი განვითარების გზაზე არსებული ცუდი დაგეგმვა, ზოგჯერ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულებელყოფა.

საამქროებში, ცვლებსა და ბრიგადებში მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ააშკარავებენ დაგეგმვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. აი ზოგიერთი მათგანი:

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნების მთავარი სამმართველოდან 1957 წელს ორთქლმავლებისა და ვაგონების შეკეთების გეგმები მიღებულ იქნა დაგვიანებით. დეკემბერში მივიღეთ სამგზავრო ვაგონების შეკეთების 1957 წლის პირველი კვარტალის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 90 ვაგონის შეკეთებას. 26 იანვარს მოვიდა ამავე გეგმის ახალი ვარიანტი, რომლის მიხედვით უნდა შეგვეკეთებინა 85 სამგზავრო ვაგონი. 20 თებერვალს ეს გეგმა კვლავ შეგვიცვალეს, ხოლო 2 მარტს იგივე გეგმა 5 ვაგონით გაგვიდიდეს.

ასეთი უთავბოლო დაგეგმვის გამო სამართლიანი საყვედური გამოთქვა ჩვენს ქარხანაში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვისას ინჟინერმა კომუნისტმა ნ. მურადაშვილმა.

გზათა სამინისტროს დაგეგმვის მიხედვით ჩვენმა ქარხანამ შესაკეთებლად უნდა მიიღოს სამგზავრო ვაგონები ჩრდილოეთ კავკასიის, აზერბაიჯანის და ამიერკავკასიის რკინიგზებიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, გზათა სამინისტროს მოუქნელი მუშაობის გამო ვაგონები გათვალისწინებულ ვადებში არ მოგვდის, რაც იწვევს გაცდენას და ზოგჯერ გეგმის შესრულების ჩაშლის საფრთხეს. მაგალითად, აზერბაიჯანის რკინიგზიდან პირველ კვარტალში უნდა მიგვეღო შესაკეთებლად 27 ვაგონი, მივიღეთ — 12.

ქარხნის გამართულ მუშაობას ხელს უშლის უწყებრივი კარჩაკეტილობა, რომელსაც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ფორმების გაუმჯობესების შემდეგ ბოლო უნდა მოეღოს. გასულ წელს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლები დიდი შეფერხების წინაშე დადგნენ თუჯის უქონლობის გამო, რომელიც დაგეგმვის თანახმად ზაპოროჟიეს მეტალურგიულ ქარხანას უნდა მოეწოდებინა. მაგრამ ამ ქარხნიდან თუჯი ვერ მივიღეთ. ამავე დროს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ჰქონდა ზედმეტი თუჯი, რომელსაც არ გვაძლევდა.

— როგორ გასესხოთ, — გვითხრეს რუსთავში, — თქვენი ქარხანა სხვა უწყებას ეკუთვნის და სესხების უფლება არა გვაქვსო. რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევის შემდეგ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელებმა 120 ტონა თუჯი გვასესხეს. განა ყოველივე ამის გათვალისწინება წინასწარ არ შეიძლებოდა?

ქარხანას დიდძალი ხე-ტყის მასალა სჭირდება. მაგრამ მისი მომარაგება ხშირად ფერხდება. ხე-ტყე მოგვდის სვერდლოვსკის, არხანგელსკის, კრასნოიარსკის მხარეებიდან. გასულ წელს დაგვაკლეს 1.700 კუბმეტრი მასალა. დიდი დახმარება გაგვიწიეს რესპუბლიკის სამეურნეო ორგანიზაციებმა, მოგვამარაგეს ხე-ტყის მასალით, თორემ გეგმა უთუოდ შეუსრულებელი დაგვრჩებოდა.

ჯერ კიდევ 1951 წელს ქარხანაში ჩქარი ტემპით დაიწყო ცენტრალური საორთქლე საქვაბეს მშენებლობა, რაც გზათა სამინისტროს გეგმის მიხედვით 1953 წელს უნდა დამთავრებულიყო. შენობა დღესაც დაუმთავრებელია და ქარხანა დიდ სიძნელეებს აწყდება ცენტრალური საორთქლე საქვაბეს მოუწყობლობის გამო.

ყველა ეს ნაკლი გამოწვეულია იმით, რომ გზათა სამინისტროს, კერძოდ, მისი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნების სამმართველოს ხელმძღვანელები ჩვენი ქარხნის მუშაობის სპეციფიკას არ იცნობენ, იშვიათად მოდიან საწარმოში, ხოლო როცა მოვლენ, მაშინაც ისე, როგორც ტურისტები. აღნიშნული სამმართველო ცუდად გვეხმარება საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოწესრიგებაშიც.

ერთი საკითხიც: ქარხანას აქვს მძლავრი ლითონსამსხმელო საამქრო, სადაც თუთიის ჩამოსხმაც ხდება. ეს საამქრო დაუტვირთავია, ხოლო ამავე დროს ამიერკავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო და საელმავლო დეპოებში შექმნილია პატარ-პატარა, მოუწყობელი ლითონსამსხმელო საამქროები, რომლებიც საჭირო არ იქნებოდა, ჩვენი ქარხნის საამქროს სრულად რომ დატვირთავდნენ.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების შესწავლა-განხილვა ქარხნის კოლექტივს ახალი საწარმოო აღმავლობისათვის აღაფრთოვანებს. პარტიული კომიტეტის, საამქროთა პარტიიუროების წევრები, პროპაგანდისტები, აგიტატორები ფართოდ განუმარტავენ მუშებს თეზისებში დასახულ ამოცანებს. ეწყობა ლექცია-მოხსენებები. თეზისების შესწავლა მიმდინარეობს პოლიტწრეებსა და პოლიტსკოლებში.

პარტია მოგვიწოდებს გამოვასწოროთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, გზა გავუხსნათ ახალს, პროგრესულს, განუწყვეტლივ სრულვყოთ წარმოება. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სამშობლოს მისცეს მეტი და ჯანსაღი ორთქლმავლები და ვაგონები.

დ. აბუთიძე,

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

სამშობლოში გამომგზავრება

პარტიის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი, იმყოფებოდა რა შვეიცარიაში, თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაუღალავად ზრუნავდა ბოლშევიკი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებისათვის. იგი პირადად ხვდებოდა ან მიწერ-მოწერა ჰქონდა ამხანაგებთან, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ. ლენინი მათ აძლევდა რჩევა-დარიგებას, როგორ მოქცეულიყვნენ, როგორ მომზადებულიყვნენ. ამავე დროს ძლევდა ყოველგვარ დაბრკოლებას, შოულობდა აუცილებელ სახსრებს რუსეთში მათი გამომგზავრებისათვის.

რუსეთის ბოლშევიკი ემიგრანტები, რომლებიც ამ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ, თავიანთ მოგონებებში საინტერესოდ და ამაღელვებლად მოგვითხრობენ დიდი ბელადის ამ დაუცხრომელ ზრუნვაზე. აი რას გვიამბობს ამის შესახებ პროფესიონალი რევოლუციონერი მიხა ცხაკაია:

„ადვილი წარმოსადგენია ბოლშევიკი ემიგრანტების განწყობილება, როდესაც შვეიცარიაში ჩვენამდე მოაღწია ცნობამ რუსეთის თებერვალ-მარტის რევოლუციის შესახებ. ამის შემდეგ მალე მე ილიჩისაგან მივიღე ღია ბარათი, რომელშიც იგი მწერდა: „...გილოცავთ რევოლუციას რუსეთში. თქვენი ოპტიმიზმი ასე მალე გამართლდა. მე ვემზადები გასამგზავრებლად, ვალაგებ ჩემოდნებს. თქვენ რას შვრებით?“.

იმავე დღეს გავუგზავნე საპასუხო მილოცვა და ვაცნობე, რომ „ჩემოდანი უკვე ჩალაგებული მაქვს გასული წლიდან“, რომ ყოველ მომენტში მზად ვარ მასთან ერთად გავემგზავრო რუსეთში.

ჩვენი დაბრუნების მოწყობა კარგა ხანს გრძელდებოდა, ერთი მხრივ, იმ დაბრკოლებათა გამო, რომლებსაც ჩვენ გვიქმნიდნენ ინგლისელი იმპერიალისტები, ხოლო, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ უსულგულო, თითქმის აშკარად მტრულ დამოკიდებულებას იჩენდნენ ჩვენდამი რუსეთის დროებითი მთავრობა და პეტროგრადის საბჭოს ესერულ-მენშევიკური შემადგენლობა. მაგრამ დაბრუნება მაინც მოხერხდა. ერთხელ ილიჩისაგან დეპეშით მივიღე მიწვევა ჩავსულიყავი ბერლინში, რათა იქიდან გერმანიაზე გავლით წავსულიყავით რუსეთში. დეპეშამ მომისწრო ვაგზლის მახლობლად, მატარებელი მალე უნდა გასულიყო, და ამიტომ აღარც მომგონებია „გასული წლიდან ჩალაგებული ჩემოდანი“ და უბარგოდ წავედი ილიჩთან“.

27 მარტს (9 აპრილს ახალი სტილით) ვ. ი. ლენინმა და მასთან ერთად ემიგრანტების ერთმა ჯგუფმა, რომელშიც უმთავრესად ბოლშევიკები იყვნენ, დატოვეს შვეიცარია და მატარებლით გაეგზავნენ რუსეთში გერმანიაზე და შვეიცარიაზე გავლით. მენშევიკ ემიგრანტთა ერთმა ჯგუფმა ამ გზით გამგზავრებას „პოლიტიკური შეცდომა“ უწოდა და მატარებლის გასვლის წინ მტრული დემონსტრაცია გამართა. შემდეგში ისინიც იძულებული გახდნენ რუსეთში დასაბრუნებლად ეს გზა აერჩიათ. წინასწარ 7 აპრილს კი ლენინმა სასწრაფო დეპეშა გაუგზავნა შვეიცარიაში განეცკის, სადაც აცნობებდა, ხვალ 20 კაცი გამოემგზავრება და ნავსადგურში შეხვდითო. ლენინმა საიდუმლოების დაცვის მიზნით არ შეატყობინა, რომ თვითონაც მიემგზავრებოდა. ეს ძალიან აღელვებდა განეცკის. შვეიცის ნავსადგურში მათი ჩასვლის ამბავს განეცკი ასე აგვიწერს:

„აი ახლოვდება გემი. ეს რამდენიმე წუთი მე სულკუნებდ მეჩვენება... ბოლოს იგი მოადგა ნაპირს. თანდათანობით ვარჩევთ ვლადიმერ ილიას-ძის, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის და ბევრი ნაცნობი ამხანაგის ფიგურებს.

მხურვალე მისალმებები, შეკითხვები, ფუსფუსი, ბავშვების შეძახილები. სიხარულისგან თვალზე ცრემლი მომადგა. ერთი წუთითაც არ შეიძლება დაყოვნება. თხუთმეტ წუთში მატარებელი გადის მალმოიში. საბაჟოს მოხელეები ბარგს არ ათვალიერებენ, მთხოვენ მხოლოდ შევსრულო დაპირება და ვანახვო მათ რევოლუციის ბელადი“...

საშუალო წვდომა (ნაგზარით) საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1956-1957 სამეურნეო წლის 6 თვეში

(თვითეულ ძროხაზე კილოგრამობით)

დაგეგმილი ადგილი	რაიონები	1957 წლის 1 აპრილისათვის	1956 წლის 1 აპრილისათვის	გადიდდა (+) შემცირდა (—)	რაიკომის მდივანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
1	ბათუმის	798	647	+151	ს. ესაძე, ა. ანანიძე
2	ქობულეთის	567	453	+114	ფ. დუმბაძე, ლ. წულუკიძე
3	წითელწყაროს	558	492	+ 66	ი. ბერძენი, დ. ნატროშვილი
4	საგარეჯოს	527	501	+ 26	გ. ნადაშვილი, ს. ფანოზიშვილი
5	ბოგდანოვკის	511	402	+109	ს. ტულჩინი, კ. დურგარიანი
6	გურჯაანის	456	444	+ 12	ა. დავითაშვილი, ვ. შავგულიძე
7	გარეჯაბნის	453	488	— 35	დ. გელაშვილი, ა. კორახაშვილი
8	მახარაძის	421	336	+ 85	შ. ჭანუყვაძე, დ. საბაშვილი
9	ბოლნისის	380	342	+ 38	შ. ქუტიძე, ა. მამედოვი
10	მცხეთის	370	346	+ 24	გ. სეხნიაშვილი, ზ. მირზიაშვილი
11	დმანისის	367	317	+ 50	მ. ყულიევი, ა. აგაევი
12	მარნეულის	360	358	+ 2	ნ. ჯიბლაძე, დ. მამედოვი
13	გარდაბნის	334	293	+ 41	გ. დევდარიანი, ნ. გაჯიევი
14	თეთრი წყაროს	326	365	— 39	მ. მაისურაძე, ი. ჩომახაშვილი
15	ყვარლის	325	349	— 24	ა. ავაზაშვილი, მ. დავითაშვილი
16	თელავის	314	350	— 36	ზ. გელდიაშვილი, ა. ასათაშვილი
17	ლაგოდეხის	310	344	— 34	პ. ბაქრაძე, ლ. ჩიკვაიძე
18	წალკის	304	289	+ 15	ა. მაკაროვი, ლ. მელტონიანი
19	ჩოხატაურის	300	261	+ 39	ა. გობრონიძე, გ. მამალაძე
20	სიღნაღის	292	277	+ 15	ზ. ბიძინაშვილი, ი. მესხიშვილი
21	გორის	284	300	— 16	ი. რთველიაშვილი, ზ. თავზარაშვილი
22	ახმეტის	274	270	+ 4	ზ. უზუნაშვილი, გ. ბიძინაშვილი
23	დუშეთის	271	262	+ 9	ვ. ბურდული, შ. მწითური
24	ახალქალაქის	270	207	+ 63	ა. ბლრციანი, გ. ბაღდასაროვი
25	წყალტუბოს	260	280	— 20	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
26	თერჯოლის	260	305	— 45	პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე
27	კაჭრეთის	260	291	— 31	ვ. რევაზიშვილი, ა. ასანიშვილი
28	ქუთაისის	257	271	— 14	ა. ჩიქოვანი, ლ. ტაბიძე
29	მესტიის	256	298	— 42	ს. ჭკადუა, ხ. ჩარკვიანი
30	სტალინირის	252	245	+ 7	ვ. სანაკოევი, გ. ჯუსოევი
31	ორჯონიკიძის	239	285	— 46	მ. სამხარაძე, ე. აბაშიძე
32	აბაშის	235	257	— 22	მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა
33	ბაგრის	235	237	— 2	კ. კინწურაშვილი, ვ. მიხაილენკო
34	ხაშურის	220	206	+ 14	დ. ქვლივიძე, მ. ჯიბუტი
35	ქარელის	217	240	— 23	ვ. გელაშვილი, ი. ნოზაძე
36	ზუგდიდის	209	204	+ 5	მ. ღვინჯილია, ვ. ესართია
37	ზნაურის	207	192	+ 15	ნ. ცხოვრებოვი, ი. კოკოევი
38	სამტრედიის	204	262	— 58	ნ. ფანცულაია, მ. ასათიანი
39	ოჩამჩირის	198	181	+ 17	ს. ალანია, ტ. სოსელია
40	გეგეჭკორის	196	241	— 45	კ. ხუბულავა, გ. შეროზია
41	ლანჩხუთის	195	262	— 67	დ. მანწკავა, მ. ვადაჭკორია
42	ყაზბეგის	193	186	+ 7	ა. შადური, პ. გოგიშვილი
43	ონის	187	226	— 39	შ. რეხვიაშვილი, ბ. მინდელი
44	ზესტაფონის	184	232	— 48	შ. ხიდაშელი, გ. არევაძე
45	ბორჯომის	183	133	+ 50	ჯ. ლომაშვილი, ა. მაისურაძე
46	ტყიბულის	179	195	— 16	კ. ლომაძე, ი. გიორგობიანი
47	ლენინგორის	179	165	+ 14	ი. უზნაძე, ა. დრიაევი
48	ცხაკაიას	179	151	+ 28	ი. ურუშაძე, დ. ბაღათურია
49	ამბროლაურის	172	170	+ 2	შ. კახიძე, ვ. დავითულიანი
50	თიანეთის	171	181	— 10	დ. გონჯილაშვილი, ნ. მგელიაშვილი
51	კასპის	171	176	— 5	გ. კეჩხუაშვილი, ა. ბასიაშვილი
52	ვანის	168	227	— 59	გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
53	გალის	164	199	— 35	დ. გოგოხია, ხ. ტუფფარია
54	ასპინძის	157	138	+ 19	ვ. კავაძე, ლ. ისაკაძე
55	ახალციხის	157	138	+ 19	კ. კაპანაძე, მ. ბაღათურია
56	ჯავის	156	166	— 10	პ. ხარებოვი, ხ. ჯიოევი
57	ცაგერის	149	202	— 53	გ. ჩაჩხიანი, ვ. ჭაკვეტაძე
58	საჩხერის	148	187	— 39	ნ. კობახიძე, დ. ღვინიანიძე
59	ჭიათურის	141	189	— 48	პ. აბესაძე, გ. ლომიძე
60	მაიაკოვსკის	130	163	— 33	ა. ტაბატაძე, კ. ჭოხონელიძე
61	ხობის	126	186	— 60	ა. წურწუმია, ს. ნასარაია
62	ქედის	126	161	— 35	ვ. კოკვაძე, ვ. ნაკაშიძე
63	წულუკიძის	125	187	— 62	ს. ლეჟავა, მ. აბზიანიძე
64	წალენჯიხის	121	135	— 14	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
65	გულრიფშის	121	144	— 23	ლ. ელეკჩიანი, შ. ბოკერია
66	ხულოს	115	108	+ 7	ა. ქონიაძე, ს. ბერიძე
67	სოხუმის	112	144	— 32	გ. ჭაჭია, კ. ცანავა
68	ლენტეხის	109	157	— 48	ი. ხაბულიანი, კ. გაზდელიანი
69	ადიგენის	106	120	— 14	ა. ხვედელიანი, ლ. ოლლიშვილი
70	შუახევის	102	104	— 2	რ. სირაძე, ვ. წულუკიძე
71	გუდაუთის	98	112	— 14	დ. ხვარცკია, კ. გერია
72	ჩხოროწყუს	92	124	— 32	მ. ცანავა, შ. ხუნტუა.

ჩეხი პროფესორი ქართული ლიტერატურის შესახებ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 36-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს რადიომ მიიღო პრაღის უნივერსიტეტის პროფესორის ფილოლოგიის დოქტორის იარომირ იედლიჩკას წერილი. დოქტორი იედლიჩკა ჩეხოსლოვაკიაში ცნობილია აგრეთვე როგორც ქართული ლიტერატურის მთარგმნელი. ვაქვეყნებთ მის წერილს.

ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ მეც ჩემი გულწრფელი სალამი შევუერთო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაარსების ოცდამეთექვსმეტე წლისთავის დღესასწაულს.

იმისათვის, რომ ამ სალამმა თქვენამდე მოაღწიოს, ძალიან დიდი მანძილი უნდა გამოიაროს. მაგრამ ჩვენ, მთარგმნელები, მიჩვეული ვართ ვძლევდეთ მანძილს, და ვიაზლოვებდეთ იმას, რაც მანამდე შორეულად გვეჩვენებოდა. ჩვენ გვიხდება არა მარტო ენობრივი ხასიათის სიძნელეების გადალახვა, ჩვენ ვეძებთ საერთო მნიშვნელს სულიერ სხვაობათა გამოსავლინებლადაც. ისეთი თავისებური ლიტერატურის მთარგმნელი, როგორიც ქართული ლიტერატურაა, ერთიორად უნდა შეიცნობდეს ამ ძიებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს. მე რამდენჯერმე ვცადე ჩავწვდომოდი თქვენი ლიტერატურის უშრეტი საგანძურის სიღრმეს. ჩემ მიერ იქიდან მიღებული პირველი განძი ქართული ხალხური ზღაპრები იყო. მათ ჩემ მკითხველთა ყურადღება მიიპყრეს იმ ჩარჩოების სილამაზით, რომლებშიც მოქცეულია გმირთა ტრადიციული შეურიგებელი ბრძოლა ბოროტზე კეთილის გამარჯვებისათვის. ქართული ფოლკლორისათვის მე მარტო ზღაპრებში როდი მიმიმართავს. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“, რომელიც შეტანილი იქნება ქართული მოთხრობების კრებულში, გვიხატავს ქართული ფოლკლორიდან აღებულ სახეს, ძლიერ დახვეწილ და იდეალიზებულ სახეს, რომლის ბადალს ძალისა და დრამატიულობის მხრივ ძნელად თუ ვიპოვნით მთელ მსოფლიო ლიტერატურაში. მე განზრახული მაქვს განვაგრძო ეს ხაზი, ვთარგმნო ქართული ხალხური რჩეული ნაწარმოები.

მე მწამს, რომ ილია ჭავჭავაძეც, რომლის მოთხრობები შეტანილია ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებთა კრებულში, ერთსა და იმავე დროს სიტყვის ოსტატი და მოაზროვნე, რთული და ჭეშმარიტი რეალისტი, უეჭველად მოხიბლავს ჩეხ მკითხველებს თავისი „კაცია-ადამიანით“, ამ შედეგით, რომლის იუმორი ნამდვილ იუმორს წარმოადგენს, რადგან იგი ცრემლში ნალესი სიცილია. არ დავიწყეთ ჩვენ დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, მოთხრობა, რომელიც აღსავსეა საშინელი განწირულებითა და ამაღელვებელი პროტესტით სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

მთარგმნელი მხარში უდგას ავტორს, ყოველ ნაწარმოებში იგი უშუალო სიახლოვეს განიცდის მასთან, რამდენადმე იმეორებს მის შემოქმედებითს პროცესს, და იმავე დროს თვითონ არის ყველაზე გულისხმიერი მისი მკითხველი. სწორედ ამ მხრივ ყველაზე მეტი სიძნელე და სიხარული შოთა რუსთაველმა განმაცდევინა. განა შემეძლო მეფიქრა, თუ რაოდენი ძალღონე დამჭირდებოდა, რაოდენი სიძნელე უნდა გადამელახა, რომ განმეხორციელებინა ჩემი გადაწყვეტილება — მეთარგმნა პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ლექსები მრავალი წლის წინათ პირველად მოვისმინე? მაგრამ არ ვნანობ, რომ ამდენი ძალღონე მოვახმარე მას, და იმედი მაქვს კიდევ მექნება შესაძლებლობა უფრო დაწვრილებით მოვუთხრო ჩემს მკითხველს ქართული პოეზიის ამ მარგალიტის თარგმნის ცდაზე, იმ ცდაზე, რომელიც ახლაც კი, როცა თარგმნა დამთავრებული მაქვს, არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს.

ჩვენ თვალყურს ვადევნებთ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას იმ ქართული ჟურნალებისა და წიგნების მიხედვით, რომლებიც მოგვდის, და გვახარებს ყოველი მისი ახალი წარმატება. ჩეხი მკითხველი უკვე იცნობს ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას“. მან შეიყვარა ეს სახალხო გმირი მისი სიცოცხლისუნარიანობისათვის, მისი ხასიათის მთლიანობისა და კეთილშობილებისათვის და აფასებს მისი ხასიათის ჯანსაღ არსებას, რომელსაც ოდნავი უხეშობის ელფერი დაჰკრავს. ჩვენ ვცადეთ გვეთარგმნა ჩეხურ ენაზე გიორგი ლეონიძის დიდებული ლექსები. რამდენიმე წლის წინათ მან ჩამოგვიტანა თავისი სამშობლოს სალამი და ჩვენც ახლა მას გულწრფელად მივესალმებით.

მადლობას გითვლით იმისათვის, რომ საქართველოში სულ უფრო და უფრო ესწრაფვიან გაიცნონ ჩეხური ლიტერატურა. ჩვენ ვიცნობთ ჩვენი მწერლების კარელ ჩაპეკისა და იან დრდას ნაწარმოებების ქართულ თარგმანებს, რომლებიც შესრულებულია შალვა გვინჩიძის მიერ, ხოლო ამ დღეებში ჩვენ წავიკითხეთ ჰაშეკის „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკის“ პირველი თავი, რომელიც გონებამახვილურად თარგმნილია აგრეთვე შალვა გვინჩიძის მიერ და დაბეჭდილია ჟურნალ „დროშის“ დეკემბრის ნომერში. იმედი გვაქვს, რომ საქართველოშიც პოპულარობას მოიპოვებს ეს ჩეხი სახალხო გმირი, რომელიც უმძიმეს ვითარებაშიც კი ინარჩუნებს თავის უბადლო იუმორს და ხდება უჩინარი, მაგრამ ქმედითი მებრძოლი ომის წინააღმდეგ.

ბედნიერი ვართ, რომ ჩვენს თვალწინ იქმნება ახალი შესაძლებლობანი კულტურული ურთიერთობისა საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიას შორის. ჩვენ გვწამს, რომ ეს ურთიერთობა კვლავ კიდევ უფრო განვითარდება ორივე ხალხის სასარგებლოდ.

იარომირ იედლიჩკა.

გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გაგრის მტს-ის ტრაქტორისტი ა. ტერენიანი ციტრუსოვანთა პლანტაციებს მკურნალობს ზეთოვანი ემულსიით. ფოტო გ. ალპერტისა.

★

დაღისტნის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი

ამ დღეებში გაიმართა დაღისტნის ასსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. აქ შეიკრიბნენ საკოლმეურნეო მინდვრების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, მეცხოველეობის ფერმების ცნობილი ადამიანები, სპეციალისტები, მეცნიერი მუშაკები. მათ შორის იყვნენ სოციალისტური შრომის გმირები, სტალინური პრემიის ლაურეატები, ორდენოსნები და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეზობელი მომმე რესპუბლიკებისა და ოლქების — საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ, ასტრახანის ოლქისა და სტავროპოლის მხარის წარმომადგენლებმა.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს დაღისტნის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. მ. უმახანოვის მოხსენება „სამხრეთის და ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალური თათბირის შედეგებზე და დაღისტნის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანებზე 1957 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში“.

კამათში მონაწილეობა მიიღო 32 კაცმა. მათ ერთმანეთს გაუზიარეს მოწინავე გამოცდილება და გამომძღვანეს ნაკლოვანებები კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში.

სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. კაბალაევი მიესალმა თათბირის მონაწილეებს და აღნიშნა, თუ როგორ იბრძვიან მშრომელები პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, როგორ ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

საქართველოსა და დაღისტნის მშრომელთა ტრადიციული მეგობრობისა და სოციალისტური შეჯიბრების შესახებ საქართველოს დელეგაციის სახელით ილაპარაკა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ი. კახიანმა. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. რუსინმა.

ასტრახანის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. ცელინოვმა თათბირის მონაწილეებს აცნობა, რომ ასტრახანის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკები სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ დაღისტნის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

თათბირის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა სკკპ დაღისტნის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. დანიალოვმა.

დაღისტნის ასსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა მიიღო ასტრახანის ოლქის მშრომელთა გამოწვევა, იკისრა გადიდებული ვალდებულებები და მოუწოდა დაღისტნის სოფლის მეურნეობის მშრომელებს ფართოდ გაეჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1957 წელს მოიყვანონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი და ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

28 მარტს, თათბირის დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. იმავე დღეს საქართველოს დელეგაცია გაეცნო გუნიბის რაიონის კოლმეურნეობების მეცხვარეობისა და სარძეო-სასაქონლო ფერმების მუშაობას, ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლები ეწვივნენ ბუინაკსკის რაიონის კოლმეურნეობებს, ხოლო აზერბაიჯანის დელეგაცია სტუმრად ეწვია დერბენტელ მეგობრებს.

ა. აბდუსამედოვი.

ჭ. მახაჩკალა.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲙᲣᲠᲝᲠᲒᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

სურამი. (საკ. კორ.). 1 აპრილს გაიხსნა საკურორტო სეზონი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სურამის სანატორიუმში. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან უკვე ჩამოსულია პირველი 140 დამსვენებელი.

გახსნის წინ სანატორიუმში კაპიტალურად შეკეთდა კვების ბლოკი, დამსვენებელთა ოთახებს გაუკეთდა მიმდინარე რემონტი.

პირველი დღიდანვე სანატორიუმი უზრუნველყოფილია მაღალხარისხოვანი პროდუქტებით. შექმნილია ყველა პირობა დამსვენებელთა ნორმალური დასვენებისა და მკურნალობისათვის.

ფელეტონი „შენდა, შენდა, არ აშენდა...“

(სცენა 1 მოქმედებად)

სცენა წარმოადგენს პატარა ოთახს, სადაც მოთავსებულია ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის ბიბლიოთეკა. იატაკი სავსეა წიგნებით. ისინი აწყვია აგრეთვე გრძელ სკამებზე, ფანჯრის რაფებზე. ბიბლიოთეკარი აგებს სათაგურს. დროგამოშვებით ეზოდან ისმის ავი ძაღლის ყეფა.

ფოსტალიონი: (შემოდის) გოგო საბედა, რა ამბავია, სულ სათაგურების დაგებაში უნდა გაატარო შენი სიცოცხლე?

ბიბლიოთეკარი: რა ვქნა, გენაცვალე, გაზეთების კომპლექტები სულ თაგვებმა შემიჭამეს. ერთადერთი სათაგურით რას გავაწყობ თაგვების ბრბოსთან. რამდენიმე განცხადება დავწერე თაგვებთან მებრძოლი საზოგადოების სახელზე, მაგრამ პასუხიც კი არ მაღირსეს.

ფოსტალიონი: აჰა, წერილი გამომატანეს შენთან (აწვდის წერილს). აქეთ მოვდიოდი, და ბარემ შემოვიარე. ახლა მეჩქარება, კარგად იყავი! (წასვლას აპირებს).

ბიბლიოთეკარი: რა გეჩქარება, ძია, დაბრძანდი... (წიგნებისაგან სკამს ათავისუფლებს, წიგნებს იატაკზე ყრის).

ფოსტალიონი: არა, მეჩქარება, საყასბოში მივდივარ, ხორცი მაქვს საყიდელი.

ბიბლიოთეკარი: საყასბოშიო? ტყუილად გაირჯები. შენ არ გაგიგონია, რომ იქ სოფლის კლუბი გადაიტანეს?

ფოსტალიონი: (გაკვირვებისაგან პირს აღებს) მართლა? როდის, გოგო? (მდგომარეობას შეურიგდა) ეჰ, ნეტავი ჩვენი სოფლის კლუბის აშენებას ეშველოს რამე...

ბიბლიოთეკარი: შენ, ალბათ, გახსოვს კლუბის მშენებლობის დაწყება, მე კი პატარა ვიყავი, გადმოცემით ვიცი დედაჩემისაგან.

ფოსტალიონი: როგორ არ მახსოვს! პირველი ვაჟიშვილი მაშინ შემეძინა, ახლა ოცი წლისაა... ბოდიში, კარგად იყავი.

ბიბლიოთეკარი: გმადლობთ, ძია! (ფოსტალიონი გადის. საბედა წერილს კითხულობს): „პატივცემულო საბედა! თქვენთან მინდოდა მოსვლა, მაგრამ როგორ გავბედავ, ჯერ კიდევ ავად ვარ. რაც თქვენი ბიბლიოთეკის წინ ძაღლმა დამკბინა, გარეთ ვეღარ გამოვდივარ, ფეხში ტკივილები მაწუხებს; რა გახდა ეგ მეზობლის ძაღლი, რომ თავიდან ვეღარ მოიშორეთ. მისი პატრონი საბჭოს თავმჯდომარის ნათესავი ხომ არ არის? წერილს ფოსტალიონს ვატან, მას შეჩვეული ჰყავს ძაღლი. ამხანაგურად გთხოვ ამ საღამოს მომიტანო ა. ჩეხოვის „ქამელეონი“. შენ არ შეგაწუხებდი, მინდოდა მეორე ბიბლიოთეკაში გამეგზავნა კაცი, მაგრამ, როგორც მითხრეს, კვლავ დაკეტილია, ხომ იცი, ლენა სუხიტაშვილს როცა მოეპრიანება, მაშინ აღებს ბიბლიოთეკას. გწერს მარგო“.

კლუბის გამგე (შემოდის). გამარჯობა, საბედა. როგორ არის საქმე, დღეს რამდენი მკითხველი მოვიდა შენთან, ან რამდენი თაგვი გაება.

ბიბლიოთეკარი: არც ერთი ფოთოლი ახლოს ულერ მარეხეს ძაღლს მივშით. მაგრამ [illegible] ვმუშაობთ, და შესვენებაზე აუშვან ხოლმე... ეჰ, ნეტავი ერთი ჩვენს ბიბლიოთეკას ეშველოს რამე, კარგი ბინა მისცენ... ჩვენი სოფელი უპატრონო ეკლესიას ჰგავს, გულშემატკივარი არავინ არის. მართლა, რა ქენი, დაამთავრე ჩვენი კლუბის მშენებლობის ისტორიის წერა?

კლუბის გამგე: ვმუშაობ, ზოგიერთი მასალა ვიშოვნე. მშენებლობის მომსწრე პირებიც დავკითხე... ოციწლისწინანდელი მასალები არსად არ აღმოჩნდა. ამ ექვსი წლის წინათ, როცა მშენებლობა განაახლეს, სასოფლო საბჭოს საშენი მასალა მოუმარაგებია, მაგრამ ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომს დადგენილება გამოუტანია — ეს მასალა მთლიანად მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას გადაეცესო. სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელებს გაუფორმებლად გადაუციათ კოლმეურნეობისათვის მასალა. საბჭოს მდივანთან შემთხვევით აღმოვაჩინეთ ძველი ჩანაწერები, საიდანაც ცხადი ხდება, რომ 10.200 ცალი აგური, 6 ტონა კირი, 80 კუბმეტრი გაწმენდილი ქვიშა, 354 ცალი შიფერი და ხე-ტყის მასალა გადაუზიდავთ კოლმეურნეობაში, შემდეგ კი ყველაფერი სადღაც გამქრალა... ისიც დავადგინე, რომ მაშინ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ ვ. თვალაშვილი ყოფილა, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარედ — კ. შეყილაძე. (ხმას დაუწევს). ამბობენ, მათ მოითხესო ხელი, მაგრამ ეს მასალები ჩემი ნაშრომისათვის საინტერესო აღარ არის, ეს უფრო პროკურატურის მუშაკებს გამოადგებათ.

ბიბლიოთეკარი: ჩვენი სოფლის შესახებ რაიონულ გაზეთში წერილის დაბეჭდვა გინდოდა, დაბეჭდე თუ არა?

კლუბის გამგე: ეს წერილი ჯერ არ დამმთავრებია, მაგრამ ამ დღეებში დავამთავრებ. სათაურიც მზად მაქვს „ახალსოფელი თუ არაშენდა“. თუ გაინტერესებს, ნაწყვეტს წაგიკითხავ (უბიდან იღებს ქაღალდებს, შემდეგ კითხულობს ხმამაღლა): „კავკასიონის ფერდობებზეა შეფენილი ახალსოფელი... მაშინ როცა ყვარლის რაიონის სხვა სოფლებს სახე ეცვალათ, ახალსოფელი თითქმის უცვლელი დარჩა. აქ ორი მძლავრი კოლმეურნეობაა, მაგრამ არც ერთი არ ზრუნავს სოფლის კეთილმოწყობისათვის, მშრომელთა კულტურული მომსახურებისათვის“.

ბიბლიოთეკარი: სწორედ ჩვენს კლუბზეა ნათქვამი: „შენდა, შენდა და არ აშენდაო“. (ისმის ძაღლის გაბმული ყეფა) ალბათ მკითხველი მოდის. ძლივს... ასეთი ბედნიერება კარგა ხანია არ მღირსებია. მობრძანდით! (ისმის ქალის კივილი) ვაიმე, გავიქცეთ, ვუშველოთ, ეტყობა ძაღლმა კიდევ ვიღაცას უკბინა... (ორივენი გარბიან. ფარდა სწრაფად იხურება).

ს. არღუნელი,
გ. ხეჩუაშვილი.

აზიის მწერალთა კონფერენციაზე

ინდოეთის საელჩომ მოსკოვში ვიზების მოცემა რატომღაც დაგვიგვიანა, და როცა ჩვენ დანიის სწრაფი თვითმფრინავით ევროპასა და აზიაზე სამდღიანი ფრენის შემდეგ დელის აეროდრომზე დავეშვით, კონფერენცია უკვე წინადღის დაწყებული იყო.

აეროდრომზე მხურვალე ტაშითა და ძმური შეძახილებით შემოგვხვდნენ ჩვენი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის ძველი მეგობრები, ცნობილი ინდოელი მწერლები: დინჯი, მუდამ მშვიდი კრიშან ჩანდრი; დაუდეგარი, მოხუცი გურბაჯშ სინგჰი; ასევე დაუდეგარი მულკ რაჯ ანანდი; უფრო ახალგაზრდა თაობიდან ბალვანტ გარგი და ნავტეჯი; აღმოსავლეთის სახელგანთქმული პოეტები: სარდარ ჯაფრი და ფაიზ აჰმად ფაიზი; სახელოვანი ჩინელი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: მაო-დუნი, ლაოში და ლეგენდარული რევოლუციური მერვე არმიის მრავალი ათეული წლის ბრძოლების ვეტერანი—ემი სიაო; კორეელები: ხე მან ირი და ხან ხერ ია; უიღურები, ბირმელები, ნეპალელები. გადაგვეხვივნენ და მხრებზე დაგვკიდეს ყვავილი ყვავილწნულები.

აეროდრომიდან გავეშურეთ ნიუ-დელის საბჭოთა საელჩოსაკენ. გავიარეთ ზღაპრულად ანთებული ვეება შადრევანთა შუა აღმართული „ინდოეთის კარი“, ჩავუარეთ პარლამენტს, ჯავაჰარლალ ნერუს სასახლეს და შევედით მწვანე ხეებსა და მრავალფერ ყვავილებში ჩაფლული ჩვენი საელჩოს ეზოში.

აზიის მწერალთა კონფერენციისათვის მზადების პერიოდში დიდი იდეური ბრძოლა გაჩაღებულიყო აზიის პროგრესულ და პროგრამიკულ მწერალთა შორის.

პროგამერიკულ ელემენტებს, რომლებსაც აშკარა ხელმძღვანელობას ამერიკის საელჩოდან უწევდნენ, განსაკუთრებული აქტივობა გამოეჩინათ კონფერენციის გახსნის დღეს, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევისას. ჩვენი ჩასვლის დროს ამ ბრძოლის სასწორი აშკარად გადახრილი იყო პროგრესულ მწერალთა მხარეზე. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეესრულებინა კონფერენციაზე ჩინეთის დელეგაციის გამოჩენას. ჩინეთის დელეგაციას თავისი ავტორიტეტული სიტყვით გადაეწყვიტა ევროპიდან და ამერიკიდან მოსაწვევ სტუმართა შერჩევის საკითხიც; მისივე კატეგორიული მოთხოვნით საორგანიზაციო კომიტეტს უარი განეცხადებინა გომინდანელთა წარმომადგენლების მოწვევაზეც. როცა კონფერენციის დაწყებისას პროგამერიკულ მწერალს კაბირს მოენდომებინა თავმჯდომარის ადგილის თვითნებურად დაკავება, ჩინეთის დელეგაციას კატეგორიული პროტესტი განეცხადებინა, ვინ აირჩია კაბირი ხმიმის თავმჯდომარედო, და იგიც იძულებული გამხდარა დაეტოვებინა თავმჯდომარის სავარძელი. ამის შემდეგ კონფერენციის ხმოსანებს მორიგეობით ხელმძღვანელობდნენ აზიის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელნი, ხოლო საერთო ხელმძღვანელობას მას უწევდა პროგრესული მწერალი, საბჭოთა კავშირის მეგობარი მულკ რაჯ ანანდი. პროგამერიკული მწერლები „კულტურა და თავისუფლების“ კლუბიდან შემდეგაც ყოველ ღონეს ხმარობდნენ კონტროლი გაეწიათ კონფერენციისათვის, მაგრამ ამ ბრძოლის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა კონფერენციაზე ჩვენი დელეგაციის გამოცხადებამ.

დილის ხსოვნა დაწყებული იყო, როცა ჩვენ შევაღეთ კონფერენციის დარბაზის კარი „იუნესკოს“ ახალ სასახლეში. დამსწრენი მხურვალე ტაშით შეეგებნენ საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებს, რომელთაგან ზოგიერთთა სახელები მათთვის უკვე კარგად ცნობილი აღმოჩნდა.

დარბაზში ნაწილს სახეზე აშკარა უსიამოვნება გამოეხატა, ნაწილი ცნობისმოყვარეობით მოგვაჩერდა, ხოლო ენერგიულად სცემდნენ ტაშს ჩინელები, ინდოელები, კორეელები, ვიეტნამელები. მოხუცი ჩინელი მწერალი, აღმოსავლეთის სახელგანთქმული ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე ლაო-ში დემონსტრაციულად წამოდგა სკამიდან, თავისი მეტად საყვარელი ღიმილით მოვიდა ჩვენს ლოჟასთან, მამობრივად გადაეხვია კონსტანტინე სიმონოვს, მერე ყველას მაგრად ჩამოგვართვა ხელი და თავის მშობლიურ ჩინურ ენაზე თითქოს ტკბილად დაგვლოცა, ამან დარბაზში ოვაციის ახალი აზვირთება გამოიწვია.

მაშინვე მიიწვიეს პრეზიდიუმში საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, აზიის ხალხების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე მირზო ტურსუნ ზადე, რომელმაც კონფერენციას გააცნო ჩვენი დელეგაციის შემადგენლობა. თავმჯდომარემ შემდეგ სიტყვა მისცა კონსტანტინე სიმონოვს, რომელმაც ორიოდე სიტყვით მოუთხრო დამსწრეთ საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრების შესახებ.

აზიის ქვეყნების მწერალთა კონფერენციას ესწრებოდნენ ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის, ცეილონის, პაკისტანის, ნეპალის, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის, ვიეტნამის, ბირმის, ირანის, ავღანეთის, სირიის, თურქეთის, ეგვიპტის და სხვა — სულ ჩვიდმეტი სახელმწიფოს მწერალთა დელეგაციები. გარდა ამისა, კონფერენციაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ, როგორც მეთვალყურენი, სტუმრები ევროპიდან, ამერიკიდან, აფრიკიდან, ავსტრალიიდან.

საბჭოთა დელეგაციაში შედიოდნენ: რუსეთიდან — კონსტანტინე სიმონოვი და ანატოლი სოფრონოვი, შუა აზიიდან — მირზო ტურსუნ ზადე, ზულფია, გაბიდენ მუსტაფინი, კარა სეიტლიევი და სიდიკჯეკოვი, ამიერკავკასიიდან — გარეგინ სევუნცი, მეჰდი ჰუსეინი და ამ სტრიქონების ავტორი.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობის შესწავლის დროს კონფერენციის მოსამზადებელ პერიოდში საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე წამოჭრილიყო საკითხი საბჭოთა მწერლების დელეგაციაში საქართველოს წარმომადგენლის შესახებ. კომიტეტში შესულიყო წინადადება: საქართველო აზიის ქვეყნად არ ჩაითვლება და ამიტომ საბჭოთა კავშირის დელეგაციაში საქართველოს წარმომადგენელი, ისე როგორც სხვა ევროპელი მწერალი, სტუმრად, მეთვალყურედ ჩაითვლოსო. ამ საკითხის დაყენება ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო, თუმცა მოსალოდნელიც რომ ყოფილიყო, საქართველოს დელეგატს რა საბუთები უნდა ჰქონოდა ხელთ, რომ ამის საწინააღმდეგო რაიმე დაემტკიცებინა.

უხერხულობა იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა დელეგაციის ორი მოხსენებიდან, როგორც მოსკოვში გადაწყდა, ერთი მოხსენება: „ამიერკავკასიის ხალხთა მწერლობის მდგომარეობის შესახებ“ ამ კონფერენციისათვის უნდა წარედგინა სწორედ საქართველოს დელეგატს, ამ სტრიქონების ავტორს. საბოლოო ანგარიშით მოხდა ისე, რომ კონფერენციაზე თითქმის ერთნაირი უფლებებით სარგებლობდა სტუმარიცა და დელეგატიც. ასე რომ საქართველოს დელეგატის მოხსენებას რაიმე სერიოზული დაბრკოლება აღარ შეხვედრია.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა მეტად საინტერესო საკითხები: აზიის ტრადიციები, მწერალი და თავისუფლება, საერთაშორისო კულტურული კავშირები, მწერალი და ოსტატობის პრობლემა და მდგომარეობა აზიის ხალხთა მწერლობაში.

როგორც ცნობილია, კოლონიალიზმის ეპოქამ, აზიაში უცხოელ დამპყრობთა საუკუნოობრივმა ბატონობამ ასეულ წლობით გაყინა ერთ წერტილზე აზიის ხალხების კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება. კოლონიალიზმმა აზიის ხალხები სრულ მონობამდე მიიყვანა და გამოთიშა ისინი მსოფლიოს კულტურული ცხოვრების ორბიტიდან. მაგალითისათვის ინდოეთის ხალხის კულტურის ტრაგიკული ბედის დასახელებაც საკმარისია. მისი საქვეყნოდ ცნობილი, უძველესი, მეტად მრავალმხრივი, უმდიდრესი კულტურა ინგლისის საუკუნოებრივი ბატონობის მანძილზე გაიყინა იქ, სადაც მას პირველად დაადგა ქუსლი მრისხანე დამპყრობმა. კონფერენციის მონაწილე ინდოელი მწერლები უსაზღვრო გულისწყრომას გამოთქვამდნენ კოლონიზატორების, ინგლისელების წინააღმდეგ, რომლებმაც ინდოელ ხალხს წაართვეს ორასი წელიწადი; მას საშუალება მოუსპეს ორასი წლის მანძილზე თავისი წვლილი შეეტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ასეული წლების წინ შეწყდა აზიის ქვეყნების კულტურული ტრადიციები, და აი ახლა, კოლონიზატორთა მძიმე უღლისაგან განთავისუფლების მეორე დღესვე, მთავარ და პირველი რიგის საკითხად დადგა ამ ტრადიციების აღდგენის საქმე. ამ კონფერენციაზეც ეს საკითხი დღის წესრიგის პირველ საკითხად იქნა შეტანილი.

თუ აზიის კოლონიზატორებმა ურთიერთს მოსწყვიტეს მეზობელი ქვეყნები, ეს მით უმეტეს თქმის ამ ქვეყნების კავშირებზე, ტერიტორიულად ისეთ შორეულ ქვეყნებთან, როგორიც, მაგალითად, საქართველოა. დღევანდელ ინდოეთში საქართველოს შესახებ იშვიათად, მხოლოდ აქა-იქ თუ აქვთ რაიმე წარმოდგენა, ისიც როგორც ხიზმარეულ ქვეყანაზე, სადაც ცხოვრობენ ლამაზი ფერიები. ინგლისის გაბატონებამდე კი ასე როდი უნდა ყოფილიყო. ჩვენს ქვეყანას, როგორც ცნობილია, საუკუნეების განმავლობაში ინდოეთთან დიდი კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა. მკითხველს მოვაგონებთ ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის მოგზაურობას ინდოეთში.

აგრა (ინდოეთი). ტაჯ-მაჰალი.

საქართველოსა და ინდოეთის ურთიერთობის შემდეგი საუკუნეების ისტორია მტვრით არის დაფარული, ისე როგორც ბაგნითის სარკოფაგებში ძვირფასი თვალმარგალიტი. არ შეიძლება რუსთაველის ეპოქაში ეს ურთიერთობა განსაკუთრებით არ ყოფილიყო გაშლილი და გაღრმავებული.

რუსები ძველთაგანვე აღმოსავლეთისა და განსაკუთრებით ინდოეთის სპეციალისტებად ქართველებს სთვლიდნენ. ეს შეხედულება განმტკიცებული იყო ჯერ კიდევ ნადირშაჰის ცნობილ ლაშქრობამდე, რომელშიც, როგორც მკითხველს მოეხსენება, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ახალგაზრდა ერეკლე მეორე.

ამ სტრიქონების წერის დროს ხელთ მიჭირავს ცნობილი ფრანგი მეცნიერის, ფილოსოფოსისა და მოგზაურის ფრანსუა ბერნიეს წიგნი: „უკანასკნელ პოლიტიკურ გადატრიალებათა ისტორია დიდი მოღოლის სამეფოში“ (მოსკოვი-ლენინგრადი, სოციალ-ეკონომიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, 1936 წ.), რომელმაც თავის დროზე მარქსისა და ენგელსის მოწონება დაიმსახურა და რომელიც სხვათა შორის მოგვითხრობს იმ სამი ქართველის შესახებ, რომელთაც მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულში ინდოეთის ერთ დიდ ნაწილში სამი სამეფო შექმნეს. ამ სამეფოებმა თითქმის ორასი წელიწადი იარსებეს. ბერნიე წერს: „ქართველები მტკიცედ განაგებდნენ ამ სამეფოებს იმიტომ, რომ ერთმანეთთან მუდმივ კავშირში იყვნენ და ერთმანეთს გვერდით უდგნენ მოღლების წინააღმდეგ დიდ სამხედრო ოპერაციებშიო“. ბერნიე ასახელებს ამ ქართველ მეფეთა მხლეთ და მეფეს, ანუ მეექვსე თათბის წარმომადგენელს — ნეზამ შაჰს, რომელმაც თავისი სამეფოს დედაქალაქს დაარქვა დულეთი.

აღმოჩნდებიან სპეციალისტები, რომლებიც ალბათ ნათელს მოჰფენენ ამ ორი ქვეყნის მეტად საინტერესო ურთიერთობის ისტორიას.

ინდოეთის პრეზიდენტთან პრასადთან მიღებაზე ამ ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიის ხელმძღვანელებს (აკადემიის საპატიო თავმჯდომარეა თვითონ ჯავაჰარლალ ნერუ) კრიპალანსა და პრაბაქარ მაშვეს მე გადავეცი „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, მოსკოვის 1937 წლის გამოცემა. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს, ინდოეთის ინტელიგენციის ამ მოწინავე და დიდად განათლებულ წარმომადგენლებს, რუსთაველის ამ უკვდავ ქმნილებაზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა. მე ვთხოვე მათ: კონფერენციის მხვლელობის დღეებში, ჩემი იქ ყოფნის დროს, როგორმე ეშოვნათ დრო და წაეკითხათ იგი. შემდეგ კი ეზრუნათ, რათა ამ პოემის მთავარი გმირისთვის, ინდოელი რაინდის ტარიელისათვის ეჩვენებინათ მისი სამშობლო რვაასი წლის

(დასასრული მე-4 გვერდზე)



საბჭოთა დელეგაციის წევრები ინდოელ მწერლებთან.

„დასავლეთ გერმანიის შეიარაღება დამღუპველია გერმანელი ხალხისათვის"

ომის საწინააღმდეგო მიტინგი მიუნხენში

ბერლინი, 5 აპრილი. (საკდესი). როგორც დდნ-ის სააგენტო იუწყება, მიუნხენში გაიმართა მიტინგი, რომელიც მოაწყო „ატომური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის კავშირმა". მიტინგს დაესწრო 2 ათასზე მეტი კაცი. მიტინგის მონაწილეებმა პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთ გერმანიაში იქმნება ატომური იარაღის საწყობები, და მთელ მსოფლიოს სახელმწიფოთა ხელმძღვანელ მოღვაწეებს მოუწოდეს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ატომური ომისათვის მზადება. ტაშით შეხვდნენ მიტინგზე ვოლფგანგ ბარტელსის გამოსვლას. მან თქვა: „ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღება ცეცხლთან თამაშია, რომელიც დამღუპველია გერმანელი ხალხისათვის". მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ჩვენ მოვითხოვთ ყველა სახეობის ატომური იარაღის აკრძალვას... თუნდაც ყველაზე მცირე კალიბრის ატომური იარაღის გამოყენება ატომურ ომს გამოიწვევს და ყველაზე დიდი დანაშაულია, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლება".

შეიქმნა ინდოეთის კერალის შტატის მთავრობა

დელი, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს კერალის შტატის დედაქალაქ ტრივანდრამში გაიმართა ოფიციალური ცერემონია ამ შტატში კომუნისტური პარტიის მთავრობის შედგენისა, რომელმაც ადგილების უმრავლესობა მიიღო ადგილობრივ საკანონმდებლო კრებაში.

ამავე დროს გამოცხადებულია, რომ შეწყდა პრეზიდენტის მმართველობა ამ შტატში, რომელიც შემოღებული იყო 1956 წლიდან მთავრობის კრიზისის შედეგად საკანონმდებლო კრების დათხოვნის შემდეგ.

ინგლისის „თეთრი წიგნი" თავდაცვის შესახებ აგრომური ომისათვის მზადების პროგრამაა

ლონდონი, 5 აპრილი. (საკდესი). ლონდონში გამოქვეყნდა „თეთრი წიგნი" თავდაცვის საკითხებზე, რომელშიც ჩამოყალიბებულია ინგლისის მთავრობის მომავალი პოლიტიკა საომარი მზადების დარგში. წიგნში მოცემული პროგრამა ამ საკითხზე მოწმობს, რომ ინგლისს განზრახული აქვს განაგრძოს და გააძლიეროს გამალებული ატომური შეიარაღება. განსაზღვრავენ რა ინგლისის შეიარაღებული ძალების მომავალ ხასიათსა და სტრუქტურას, წიგნის ავტორები ეყრდნობიან „ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნების პერსპექტივას".

წიგნში აღიარებულია, რომ ინგლისს სამხედრო ხარჯების მძიმე ტვირთი აწევს. „უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, — ნათქვამია წიგნში, — თავდაცვა ნთქამდა ინგლისის საერთო ნაციონალური პროდუქტის საშუალოდ 10 პროცენტს. (ინგლისის საერთო ნაციონალური პროდუქტი მაგალითად 1956 წელს შეადგენდა 18 მილიარდ გირვანქა სტერლინგზე მეტს. — საკდესის კორესპ. შენიშვნა)". მაგრამ, როგორც წიგნიდან ჩანს, ინგლისის მთავრობა სრულიადაც არ აპირებს განახორციელოს შეიარაღების რამდენადმე მნიშვნელოვანი შემცირება, როგორც ამას მოითხოვენ ინგლისის საზოგადოებრიობა და სახელმწიფოს ეკონომიკის საჭიროებანი. წიგნში დასახული „ეკონომიის" ღონისძიებანი გამოიხატება, უმთავრესად, ზოგიერთი ზედმეტობისა და პარალელური რგოლების აღმოფხვრით სამხედრო პარატში. ამავე დროს ეს ღონისძიებანი ითვალისწინებენ ადამიანთა შემადგენლობის ნაწილის შეცვლას ტექნიკით, კერძოდ ატომური და რეაქტიული ტექნიკით, ავრეთვე დაქირავებული კადრის არმიის შექმნას. ამის შედეგად ინგლისის სამხედრო ხარჯები კვლავ ძალიან მაღალ დონეზე რჩება და განისაზღვრება 1957-58 საფინანსო წლისათვის, რომელიც 1 აპრილს დაიწყო, 1.483 მილიონი გირვანქა სტერლინგით. კომენტარს უკეთებს რა „თეთრ წიგნში" დასახულ ღონისძიებებს, გაზეთი „დეილი ჰერალდი" წერს, რომ მთავრობის მიერ დაპირებული უმნიშვნელო შემცირება სამხედრო ხარჯებისა „აშკარად არასაკმაო". „საჭიროა მათი შემცირება სამჯერ, — აცხადებს გაზეთი,— რათა საგრძნობლად შემსუბუქდეს სახელმწიფოს ისედაც მძიმე ეკონომიური მდგომარეობა".

კონსერვატიული „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" სარედაქციო სტატიაში გამოთქვამს შიშს, რომ რეორგანიზებულ არმიაში ჯარისკაცებიც და შეიარაღებაც „მნიშვნელოვნად უფრო გაძვირდება", სხვანაირად რომ ვთქვათ, ინგლისელ გადასახადის გადამხდელებს კიდევ უფრო მძიმე ტვირთი დააწვებათ აუტანელი გადასახადებისა, რომლებითაც ძირითადად აფინანსებენ საომარ მზადებას.

ბურჟუაზიული პრესის ფურცლებზე ზოგჯერ გულახდილად გამოთქვამენ შეშფოთებას იმის გამო, რომ მთავრობამ აიღო გამალებული ატომური შეიარაღების გაძლიერების კურსი. მაგალითად, გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" სამხედრო მიმმხილველი აღნიშნავს, რომ ახალი პროგრამის განხორციელების პირველ წლებში ინგლისი მთლიანად დამოკიდებული იქნება შეერთებულ შტატებზე.

გაზეთი „დეილი უორკერი" სარედაქციო სტატიაში წერს, რომ მთავრობამ „თეთრ წიგნში" ჩამოყალიბებული ღონისძიებანი დასახა „ომა იმისათვის, რომ მიუახლოვდეს საყოველთაო მშვიდობას, არამედ ატომური ომის საერთო სტრატეგიის შექმნისათვის". „ინგლისელი ხალხი, — განაგრძობს გაზეთი, — მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობა შეეცადოს შეუთანხმდეს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მთავრობებს ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ეს იქნება პირველი ნაბიჯი ამ იარაღის საერთო აკრძალვის გზაზე".

გი მოლეს გამოსვლა პარიზის ამერიკულ კლუბში

პარიზი, 4 აპრილი. (საკდესი). სიტყვა წარმოთქვა რა დღეს პარიზის ამერიკულ კლუბში, საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა გი მოლემ, როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, აღიარა, რომ ალჟირის ომი მძიმე ტვირთად აწევს საფრანგეთის ფინანსებს. მაგრამ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთი, მიუხედავად ამ ტვირთისა, არ აპირებს შეცვალოს თავისი ახლანდელი პოლიტიკა ალჟირში. „რაც შეეხება ალჟირს, — განაცხადა მოლემ, — რარიგ ძნელი ამოცანაც უნდა იყოს იგი, მე წინასწარ უნდა ვთქვა, რომ საფრანგეთის პოლიტიკა კი არ შეიცვლება ფინანსური მოსაზრებებით, არამედ ფინანსურ ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მოეთხოვება, შეკუგუებთ ალჟირის მოთხოვნილებებს...."

საფრანგეთის ეკონომიური სიძნელეებიდან გამოსავალი გი მოლეს აზრით არის ექსპორტის მოცულობის გადიდება, აგრეთვე გადასახადების შესაძლო გადიდება და საშინაო მოხმარების შემცირება.

დაახასიათა რა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა, მოლემ დამსწრეთ აგრძნობინა, რომ მას საფუძვლად უდევს სამხედრო ბლოკების პოლიტიკა „საფრანგეთის მთავრობა, — თქვა მან, — თავის ამოცანებს შორის პირველ ადგილზე აყენებს ატლანტიკური კავშირის განუხრელ განმტკიცებას..."

ᲛᲝᲓᲔᲒᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲢᲔᲚᲘᲔ

საბურთალოზე, ბულაჩაურის ქუჩაზე, ახალი სახლის პირველ სართულში არტელმა „მკერავთა კომუნამ" გახსნა მოდების ახალი ატელიე.

ატელიეს აქვს მისაღები და მოსაცდელი დარბაზი, გამომჭრელებისათვის ცალკე ოთახები, სადაც ხდება ტანსაცმლის მიზომეებაც. სამკერვალო საამქრო მოთავსებულია დიდ და ნათელ დარბაზში, სადაც ხელოსნებს თავიანთ სამუშაო მაგიდასთან აქვთ საკუთარი უჯრები, კარადები; მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ტანსაცმლის შეკერვაზე იმუშავებს 32 ხელოსანი და 3 მაღალკვალიფიციური გამომჭრელი. დამკვეთის მასალით აქ შეიკერება ქალისა და მამაკაცის ყველა სახის ზედა ტანსაცმელი და ქალის კაბები. ატელიე მომხმარებელთა უკეთ მომსახურების მიზნით მომარაგებულია ყველა დამხმარე მასალით.

• • •

სურათზე: გამომჭრელი ც. ეგორიანი (წინა პლანზე მარჯვნივ) ხელოსან ბ. ახალბედაშვილს უხსნის მამაკაცის კოსტიუმის დამუშავების მეთოდს.

ცუდი მსაჯობა, დაუმსახურებელი წაგება

მოსკოვის „დინამო". სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონი. სახელოვანი ტრადიციის მქონე კოლექტივი...

ბუნებრივია ასეთი გუნდისაგან სამართლიანად მოითხოვენ მაღალტექნიკურ ბრძოლას, საინმუშო თამაშს, დისციპლინას.

მოსკოველ დინამოელთა პირველი გამოსვლა თბილისში ფეხბურთის ახალ სეზონში შედგა გუშინ, 6 აპრილს. მათ წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის „დინამო".

თამაში სტუმართა იერიშებით დაიწყო. მალე თბილისელებმა კონტრშეტევით უპასუხეს. მეკარე იაშინი ჩაება ბრძოლაში. მოწინააღმდეგეებმა დაკარგეს ხელსაყრელი მომენტები.

მე-20 წუთი. თითქოს უდავო გოლია. სტუმრებმა იხსნეს კარი. კიდევ ერთი წუთი. ამჯერად ბრძოლა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე მიმდინარეობს. თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფება შაპოვალოვი. გვერდითი მსაჯი აკობაშვილი ნიშნავს იძლევა. რატომღაც მთავარი მსაჯი ნ. ბალაკინი ყურადღებას არ აქცევს მას. დარტყმა. ბურთი სხარტი ნახტომით მოიგერია ახალგაზრდა მეკარე კოტრიკაძემ. კიდევ დარტყმა. გოლი, დაუმსახურებელი გოლი.

თამაშის ტემპი მატულობს. თბილისელთა იერიშები გრძელდება. 26-ე წუთზე ერთ-ერთი კომბინაცია მთავრდება ხასაიას დარტყმით. ბურთი მოხვდა ძელს და მოედანს დაუბრუნდა. კიდევ დარტყმა, ამჯერად იამინძისა. იაშინი უძლური აღმოჩნდა. 1 : 1. ასეთი ანგარიშით მთავრდება ტაიმი.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში ბრძოლა სტუმართა კართან მიმდინარეობს. იერიშს ახალი იერიშები ემატება. ერთ-ერთი ასეთი მწვავე მომენტი გაგნიძის დარტყმით და გოლით მთავრდება.

მაგრამ, აი საოცრება: გვერდითმა მსაჯმა ბახრამოვმა ალაში იგრიშები. ამჯერად ბალაკინი ამ „წამოწყებას" კმაყოფილებით შეხვდა და მცირედენი დაფიქრების შემდეგ ბურთი არ ჩათვალა.

მსაჯის ასეთმა მოქმედებამ ათეულ ათასობით ობიექტური მაყურებლის საერთო უკმაყოფილება, სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. შემდეგ ბრძოლაში თავი იჩინა სტუმართა ახალმა ხერხმა — უხეშობამ, მოცელვამ, ფეხებით ნადირობამ. ყოველივე ამას მოყვა ის, რომ ღონღობერიძე იძულებული გახდა მოედანი დაეტოვებინა. ხასიათსა და ჭკუასელს სტუმრები განუწყვეტლივ სარმით უმასპინძლდებიან.

მართალია, მსაჯი ბალაკინი აფრთხილებდა მათ, მაგრამ ისმება კითხვა — მოედანზე ერთი და იგივე მოთამაშის, თუნდაც მოსკოვის „დინამოს" კაპიტნის კრიეევსკის გაფრთხილება რამდენჯერ შეიძლებოდა, ვთქვათ ხუთჯერ თუ უფრო მეტჯერ?

თამაში გაფუჭდა, ნამდვილი სპორტული სახე დაკარგა. შემდეგ წუთებში მოხდა ის, რომ თბილისის კარში კიდევ ერთი ბურთი იქნა გატანილი და ამრიგად სტუმრებმა გათამაშების ცხრილში ორი ქულა ჩაიწერეს.

მოსკოვის „დინამოსაგან" ყველანი სრულყოფილ, შესანიშნავ ბრძოლას მოელოდნენ. ვნახეთ სულ სხვა — მათთვის შეუფერებელი, უხეში თამაში.

მსაჯებმა ნ. ბალაკინმა და ტ. ბახრამოვმა თავიანთი არაობიექტური მსაჯობით ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბეს.

ვ. გაბელია.

* * *

სტალინო. 6 აპრილი. სსრ კავშირის 1956 წლის ჩემპიონმა მოსკოვის „სპარტაკმა" მორიგი შეხვედრა გამართა სტალინოში ადგილობრივი „შახტიორის" წინააღმდეგ. მძაფრი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 0 : 0.

ბაქო. 6 აპრილი. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდების შეხვედრა დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით 3 : 1.

კიშინიოვი. 6 აპრილი. დედაქალაქის ტორპედოელებმა XIX ჩემპიონატის პირველი შეხვედრა გამართეს კიშინიოვში „ბურევესტნიკის" წინააღმდეგ. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით 2 : 0.

კიევი. 6 აპრილი. დღეს აქ გაიხსნა XIX ჩემპიონატი ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა" და კიევის „დინამოს" გუნდები. ასპარეზობა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 1 : 0.

ოდესა. 6 აპრილი. მინსკის „სპარტაკმა" ანგარიშით 2 : 0 დამარცხა ლენინგრადის „ზენიტი".

საქალაქო ჩემპიონატი

თბილისის ცენტრალურ საჰადრაკო კლუბში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ასპარეზობა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პირველობაზე. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა 16 მოჭადრაკე.

ძლიერად ჩაატარა შეხვედრები და თბილისის 1957 წლის ჩემპიონი გახდა 64-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე მ. სტატნიკოვა, რომელმაც 12,5 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ლ. ნაჩყებია (12 ქულა), მესამეზე — თ. ჟორჟოლაძე (11,5 ქულა), მეოთხეზე — ქ. გოგიავა (11 ქულა), მეხუთეზე — მ. ლოლიშვილი (9,5 ქულა).

მ. სტატნიკოვა, ლ. ნაჩყებია, თ. ჟორჟოლაძე, ქ. გოგიავა და მ. ლოლიშვილი მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პირველობის გათამაშებაში.

მ. ბოტვინიკი — ვ. სმისლოვი

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიოს ჩემპიონის მ. ბოტვინიკისა და გროსმაისტერ ვ. სმისლოვის მატჩის მე-13 პარტია გადადებული იყო მსოფლიოს ჩემპიონის უპირატესობით. 5 აპრილს პარტიის განუახლებლად ვ. სმისლოვმა თავი დამარცხებულად ცნო. მატჩის შედეგი გახდა 7:6 ვ. სმისლოვის სასარგებლოდ.

გუშინ, 6 აპრილს, გაიმართა მე-14 პარტია, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა.

უნგრელი ხალხის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი საღამო

5 აპრილს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ გამართა უნგრეთის განთავისუფლების 12 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საბჭოთა კავშირის, საქართველოსა და უნგრეთის სახელმწიფო ალმებით მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ქოჩორაძემ.

მოხსენება უნგრეთის განთავისუფლების 12 წლისთავის შესახებ გააკეთა პროფ. ა. ბარამიძემ.

სამეცნიერო კონფერენცია

1957 წლის 8 აპრილს საღამოს 7 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საქტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 29) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს სამეცნიერო კონფერენციას თემაზე: „თანამედროვე შეხედულებანი თავის ტვინის აღნაგობისა და მოქმედების შესახებ".

კონფერენციაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები:

შესავალი სიტყვა: — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი აკადემიკოსი ი. ს. ბერიტაშვილი.

1. თავის ტვინის ნატიფი სტრუქტურა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. დ. ზურაბაშვილი.

2. ნერვული მოქმედების ბიოქიმიური საფუძვლები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პ. ა. ქომეთიანი.

3. თავის ტვინის ღეროს ბადისებრი წარმონაქმნის ფუნქციები — პროფესორი ს. პ. ნარიკაშვილი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხი

ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ

მოგებათა 56-ე ტირაჟის, რომელიც გაიმართა 1957 წლის 30 მარტს, 1. ივნისს.

მოგება ხვდა სესხის ათივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №		სერიის №	ობლიგაციის №	
001542	49*)	5.000	052309	46*)	5.000
002884	36*)	5.000	052877	1—50	400
003462	15*)	5.000	053918	1—50	400
005869	1—50	400	054029	1—50	400
006022	38*)	10.000	055509	13*)	5.000
006294	1—50	400	055627	13*)	5.000
006491	1—50	400	055945	1—50	1.000
006536	40*)	5.000	056242	1—50	400
006895	1—50	1.000	056641	39*)	10.000
006962	45*)	5.000	057050	49*)	25.000
007644	1—50	400	058877	23*)	5.000
007900	1—50	400	059275	07*)	5.000
010148	40*)	5.000	059326	18*)	5.000
010155	15*)	5.000	059931	25*)	10.000
010342	26*)	10.000	061265	1—50	400
010379	1—50	400	062247	1—50	1.000
011015	05*)	10.000	062249	1—50	1.000
011162	43*)	5.000	063658	07*)	5.000
011312	1—50	400	065227	01*)	10.000
012464	11*)	5.000	065414	15*)	5.000
014377	50*)	5.000	065918	27*)	5.000
016552	40*)	5.000	066002	17*)	10.000
017184	05*)	5.000	066176	02*)	5.000
018032	1—50	400	067994	49*)	5.000
020383	47*)	10.000	068162	1—50	400
020948	1—50	1.000	068521	23*)	5.000
021457	17*)	5.000	069509	1—50	400
021730	1—50	400	069784	1—50	1.000
023526	39*)	5.000	070108	13*)	5.000
023824	1—50	400	070615	49*)	5.000
024966	1—50	1.000	070681	23*)	5.000
025289	16*)	50.000	073546	39*)	5.000
025607	1—50	1.000	073963	1—50	1.000
027458	07*)	5.000	074193	1—50	400
027751	49*)	5.000	074663	24*)	25.000
027931	19*)	5.000	074742	1—50	400
028753	24*)	5.000	075964	08*)	5.000
028991	19*)	5.000	076010	1—50	400
029397	20*)	10.000	076511	27*)	5.000
029671	1—50	400	076743	43*)	50.000
030147	1—50	1.000	077309	04*)	25.000
030387	1—50	400	077445	21*)	5.000
032431	1—50	400	077859	34*)	5.000
032935	35*)	5.000	077942	03*)	5.000
033115	1—50	400	078386	1—50	1.000
033134	1—50	400	078861	30*)	10.000
033407	1—50	1.000	079958	41*)	10.000
033567	1—50	400	080194	26*)	10.000
033574	1—50	400	080321	40*)	10.000
034466	07*)	10.000	080941	19*)	10.000
034951	30*)	5.000	081263	05*)	10.000
035544	1—50	400	081521	41*)	10.000
035697	46*)	10.000	081978	02*)	5.000
036056	1—50	400	083071	1—50	400
036466	22*)	5.000	084345	24*)	5.000
038529	1—50	1.000	085418	26*)	5.000
038946	19*)	5.000	086593	07*)	10.000
038993	1—50	400	086746	23*)	25.000
039234	30*)	10.000	087372	41*)	5.000
039351	15*)	5.000	090130	46*)	5.000
039733	30*)	5.000	090340	1—50	1.000
040708	11*)	5.000	090569	1—50	400
041595	02*)	5.000	093467	1—50	400
042615	1—50	400	093776	49*)	5.000
042753	23*)	5.000	093911	1—50	400
043268	46*)	5.000	095117	31*)	5.000
043904	18*)	25.000	095206	1—50	400
044075	43*)	5.000	095350	45*)	5.000
044706	1—50	400	095396	36*)	5.000
044955	47*)	5.000	095741	01*)	5.000
045708	1—50	400	096170	1—50	400
046437	19*)	10.000	096442	10*)	5.000
047055	26*)	5.000	096471	1—50	400
047110	13*)	10.000	096622	38*)	5.000
047656	31*)	5.000	097034	22*)	10.000
047700	46*)	5.000	097861	20*)	5.000
047858	1—50	400	098298	27*)	5.000
048294	23*)	5.000	098737	44*)	5.000
049588	1—50	400	098810	19*)	5.000
049829	1—50	400	098911	1—50	400
049879	31*)	5.000	098966	27*)	10.000
050079	12*)	10.000	098976	47*)	5.000
050179	02*)	5.000	099133	24*)	5.000
051120	26*)	5.000	099585	35*)	5.000
051542	05*)	5.000	099916	12*)	5.000

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — რიგის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ე. რეკე.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი მ. ა. სმირნოვა.

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

(დასასრული).

შემდეგ, ე. ი. ეზრუნათ „ვეფხისტყაოსნის" პინდის ან ურდუს ენაზე თარგმნისათვის.

ის ღამე პრაბაჭარ მაშვეს რუსთაველმა თეთრად გაათენებინა. დილით მივიღეთ მისგან უსაზღვროდ აღფრთოვანებული წერილი. წერილს დართული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის" ადგილების თარგმანი ურდუს ენაზე, რომელიც ამ ღამენათევ კაცს განთიადისას შეესრულებინა. მე ეს წერილიც და თარგმანიც ინდოეთიდან თან წამოვიღე.

აგერ ჩვენს თვალწინ ბარდება ისტორიას კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემა. აგერ ჩვენს თვალწინ იღვიძებენ და დამოუკიდებლობის ნათელ გზას ადგებიან აზიის მილიონობით ხალხები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. ისინი ეძებენ ძველ მეგობრებს, იღვწიან აღადგინონ ძველი კავშირები, ძველი ურთიერთობა. მათ თავის სამართლიან ბრძოლაში აღფრთოვანებთ ჩვენი ქვეყნის ბრძოლისა და შრომის დიდებული მაგალითები. ამის შესახებ ხშირად აცხადებენ ხოლმე აზიის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. თავის წიგნში „ინდოეთის აღმოჩენა" ჯავაჰარლალ ნერუ წერს: „მე არასოდეს არ შემდიოდა ეჭვი იმაში, რომ საბჭოთა რევოლუციამ დიდად წასწია წინ ადამიანთა საზოგადოება და აანთო ნათელი ალი, რომლის ჩაქრობაც შეუძლებელია. მან ჩაუყარა საძირკველი იმ ახალ ცივილიზაციას, რომლისკენაც მიიწევს მსოფლიო".

შეგნება იმისა, რომ ეს დიდი ხალხები დღეს ერთიანდებიან საერთო სამართლიან ბრძოლაში, აღმოსავლეთის პროგრესულ მოღვაწეთა გულში საბოლოო გამარჯვების დიდ რწმენას ბადებს. თავისი სიტყვა კონფერენციაზე ინდოეთის გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ, პარლამენტის დეპუტატმა, მწერალმა რაჯაგო პალაჩარიამ დაიწყო სწორედ ამ რწმენის აღიარებით: „თუმცა ჩემს დღეში ინდოეთს გარეთ არ გავსულვარ, მაგრამ მხოლოდ ახლა ვგრძნობ პირველად, რომ აზიაში ვარო". პალაჩარიას ამ განცხადებას ცეილონის დელეგატმა დაუმატა: „იმას, რასაც ინდოეთმა მიაღწია განდის ხელმძღვანელობით. უნდა მიაღწიოს აღმოსავლეთის ყოველმა ხალხმაო".

მაგრამ აშკარად ეტყობა, აღმოსავლეთის პროგრესული ადამიანები დღეს შეშფოთებული არიან ახალი საფრთხით, ახალი კოლონიზატორების, ამერიკელების მზაკვრული ოინებით — დოლარით ჩაიგდონ ხელში ინგლისის დაკარგული პოზიციები აღმოსავლეთში. აზიის პროგრესული საზოგადოებრიობა, ეტყობა, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში გამოდის ამერიკის ამ ჯოჯოხეთური გეგმების წინააღმდეგ, და აზიის მწერალთა კონფერენციაც სავსებით იყო გამსჭვალული ამ ბრძოლის ტენდენციებით.

კონფერენციაზე ჩვენი გამოცხადების დროს ტრიბუნაზე იდგა იაპონელი პროგრესული მწერალი და საზოგადო მოღვაწე მასახარა ხატანაკა, რომელიც აღშფოთებით ლაპარაკობდა ამერიკელთა მოძალების შესახებ იაპონიაში, იაპონელ პროგრესულ მწერალთა ბრძოლაზე ამერიკული გავლენის წინააღმდეგ. იგი მოუთხრობდა კონფერენციას იაპონიის ლიტერატურაში გაჩაღებულ ბრძოლაზე რეალისტურ, ნამდვილად ხალხურ მწერლობასა და დასავლეთის დეკადენტურ გავლენაში მყოფ მწერალთა შორის. მან აღნიშნა, რომ ეს ბრძოლა არის არა მარტო ლიტერატურულ მიმართულებათა შორის ბრძოლა, არამედ ორი იდეოლოგიის ბრძოლაც.

კონფერენციის მონაწილენი. კამათში გამოსული აზიელი მწერლები გულისწყრომითა და ზიზღით ლაპარაკობდნენ აზიაში ინგლისის ბატონობის შავბნელ საუკუნეებზე. ბენგალიის წარმომადგენელი ასე გამოთქვამდა ამ გულისწყრომას: „ჩვენ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში მუდამ ვეძებდით ჭეშმარიტებას. ამ ძიებაში, სხვას თუ არაფერს, სულის სიმშვიდეს მაინც ვპოულობდით. ინგლისელებმა ჩვენ ეს ძიების თავიც წაგვართვეს. მათ წაგვართვეს ყველაფერი. მათ არ ესმოდათ ჩვენი. ისინი ჩვენ გვთვლიდნენ კერპთაყვანისმცემლებად, ასე გაიგეს მათ ჩვენი რელიგია და ფილოსოფია. ჩვენ მათ ვძულდით, ჩვენ კიდევ, ჩვენი მხრით, ისინი გვეზიზღებოდნენ".

კონფერენციაზე სიმბოლიურ მოკლენას ჰქონდა ადგილი: მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მესამე დღეს სიტყვა აიღო ინგლისის წარმომადგენელმა. როცა იგი ტრიბუნაზე ავიდა და გაცხარებით დაიწყო ლაპარაკი, ამ დროს სხდომის დარბაზის კარი გაიღო და კონფერენციაზე შემოვიდა იმ დილით ამერიკიდან დაბრუნებული პრემიერი ჯავაჰარლალ ნერუ. იგი ავიდა პრეზიდიუმის მაგიდასთან. სხდომის მორიგე თავმჯდომარემ იტალიელმა მწერალმა კარლო ლევიმ მას მაშინვე მისცა სიტყვა. ინგლისის წარმომადგენელი იძულებული გახდა დაეტოვებინა ტრიბუნა. ტრიბუნაზე მტკიცე ნაბიჯით ავიდა ინდოეთის პრემიერი. დარბაზმა მხურვალე ოვაცია გაუმართა არა მარტო ნერუს, არამედ სინამდვილის ამსახველ ამ სიმბოლიურ მოვლენასაც.

ნერუმ ილაპარაკა მწერლის როლისა და მოვალეობის შესახებ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ისეთ საზოგადოებაში, როგორიც არიან ახლახან გამოღვიძებული, დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი აზიის ქვეყნების ხალხები. საქმე ის არის, რომ კონფერენციაზე დასავლეთის დეკადენტურ მიმდინარეობათა იდეების მქადაგებელნი თავგამოდებით იცავდნენ თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის". არსებითად ამ თეორიის წინააღმდეგ გამოვიდა თავის რეზიდენციაში მიღების დროს ინდოეთის პრეზიდენტი პრასადიც და კონფერენციაზე ჯავაჰარლალ ნერუც. ნერუმ განაცხადა, რომ მწერალს არა აქვს უფლება ჩაიკეტოს თავის ნაჭუჭში, გვერდზე გაუდგეს თავის მშობლიურ ხალხს, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს ხალხი სისხლითა და ოფლით, მძიმე შრომით ქმნის თავის მომავალს.

ბურჟუაზიული თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის" აპოლოგეტები საკმაოდ გამოჩნდნენ ამ კონფერენციაზე, განსაკუთრებით ევროპელი სტუმრების რიგებიდან. მაგრამ ამ თეორიის აპოლოგია დამთავრდა გამოჩენილი ჩინელი ბელეტრისტის ლაო-შის გამოსვლით, რომელმაც საბოლოოდ მტკიცე, საფუძვლიანად არგუმენტირებული პასუხი გასცა დასავლეთელ სტუმრებს.

**საბჭოთა დელეგაცია ჩასვლისთანავე აქტიურად ჩაება კონფერენციის საქმიანობაში და მალე კონფერენციის წამყვან ძალთა პირველ რიგებში აღმოჩნდა. პროგრესული ძალები ამ დელეგაციის გარშემო შემოიკრიბნენ და ეს ისე ბუნებრივად მოხდა, თითქოს კონფერენციაც ამას მოელოდაო. საბჭო